

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბერძნულ-რომაული ფილოლოგია

სეფაშვილი ეკატერინე

სფინქსის სახე ანტიკურობიდან თანამედროვე ბერძნულ
ლიტერატურამდე

ნაშრომი შესრულებულია ახალი ბერძნულის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
სრული პროფესორი სოფიო შამანიდი

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program Greek-Roman Philology

Sepashvili Ekaterine

The figure of the Sphinx from antiquity to modern Greek literature

The thesis is made to obtain MA degree in Modern Greek Philology

Scientific supervisor

Doctor of Philological Sciences

Full Professor: Sopio Shamanidi


Tbilisi

2019

სარჩევი

| | |
|---|----|
| ანოტაცია..... | 4 |
| Anotation..... | 6 |
| შესავალი..... | 8 |
| თავი 1: სფინქსი ანტიკურ სამყაროში..... | 10 |
| 1.1 სფინქსი ეგვიპტურ და ძველ ბერძნულ ტრადიციაში..... | 10 |
| 1.2 სფინქსი რომაულ ლიტერატურაში..... | 21 |
| 1.3 სფინქსის გამოცანის ფორმულირება..... | 24 |
| თავი 2: სფინქსი ინგლისურენოვან ლიტერატურაში..... | 28 |
| 2.1 სფინქსი შექსპირთან..... | 29 |
| 2.2 ედგარ ალან პოს „სფინქსი“..... | 29 |
| 2.3 რალფ უაღდო ემერსონის „სფინქსი“..... | 32 |
| 2.4 ოსკარ უაილდის „სფინქსი“..... | 36 |
| თავი 3: სფინქსის სახე თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში..... | 44 |
| 3.1 კავაფისის ლექსი „ოიდიპოსი“ და სფინქსის სახე..... | 44 |
| 3.2 სეფერისის რომანი „ექვსი ღამე აკროპოლისზე“..... | 47 |
| 3.3 ეგონოპულოსის ლექსი „ცხოვრებისეულ გზებზე“..... | 50 |
| დასკვნა..... | 52 |
| ბიბლიოგრაფია..... | 54 |

დანართი..... 57



ანოტაცია

სფინქსი ბერძნული მითოპოეტური ტრადიციის ერთ-ერთი უპოპულარესი ფიგურაა, რომელმაც მრავალგზის ჰპოვა თავისი მხატვრული ასახვა, ჯერ ელინთა კულტურაში, ხოლო შემდეგ მსოფლიო კულტურაში. რა საკვირველია, სფინქსის სახე, უმრავი გადამუშავების შემდეგ, დაბრუნდა თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაშიც.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ხდებოდა სფინქსის როგორც მითოლოგიური ფიგურის ფორმირება, რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა, თუ განიცადა, როგორი სიმბოლიკის მატარებელია და როგორ გამოიყენება ლიტერატურაში ეპოქისა და ლიტერატურული მიმდინარეობის მიხედვით. ნაშრომში აქცენტი კეთდება, ძირითადად, სფინქსის როლზე ანტიკურ, ინგლისურენოვან და ბერძნულ ლიტერატურაში. სფინქსი, როგორც სიმბოლო და პერსონაჟი ძალიან პოპულარულია, არა მხოლოდ მსოფლიო ლიტერატურაში, არამედ მხატვრობაშიც, სცულპტურაშიც და სხვადასხვა რელიგიებშიც, თუმცა ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ლიტერატურის სფეროთი და კერძოდ შევეცდებით პარალელები გავავლოთ სფინქსის როლზე ინგლისურენოვან და ბერძნულენოვან ლიტერატურაში, რადგან ვთვლით, რომ ყველაზე მეტი ზეგავლენა ბერძნულენოვან ლიტერატურაზე ინგლისურენოვანმა ავტორებმა იქონიეს.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, შესავალს, სამ თავსა და დასკვნას.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა სფინქსის ფიგურის წარმოშობის საკითხის განხილვას, მის დამკვიდრებას ძველ ბერძნულ ლიტერატურაში, როგორც საიდუმლოებისა და სიკვდილის სიმბოლო და საბოლოოდ მისი გამოყენება რომაულ ლიტერატურაში. ამ თავში ასევე განხილულია სფინქსის გამოცანის ფორმულირების თემა, რადგან სფინქსი და გამოცანა განუყრელ ერთიანობას წარმოადგენს.

მეორე თავი ეთმობა სფინქსის ფიგურის გაცოცხლებას თანამედროვე ეპოქაში.

ძირითადად, აქცენტი კეთდება მე-XX საუკუნის ინგლისურენოვან ლიტერატურაზე და ამ ეპოქაში ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ მიმდინარეობებზე და მათ კავშირზე სფინქსის ფიგურასთან, თუმცა, ასევე, მოყვანილია უფრო ადრეული მაგალითებიც სფინქსის სახის გამოყენებისა ინგლისურ ლიტერატურაში.

მესამე თავი ეთმობა თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურას და სფინქსის როლს ბერძენი ავტორების შემოქმედებაში. ამ თავში, ასევე, შევეცდებით დავადგინოთ, თუ რამდენად მოახდინა ზეგავლენა ინგლისურენოვანმა ლიტერატურამ ბერძნულენოვან ლიტერატურაში სფინქსის ფიგურის ფორმულირებაზე.

Anotation

The Sphinx is one of the most popular figures in the mytho-poetic tradition and consequently it has been used in various artistic forms both in Greek and global culture. It is no surprise, that the figure of the Sphinx after undergoing certain changes during the centuries, it returned back to the modern Greek literature.

The main goal of the presented study is to carefully observe how the mythological figure of the Sphinx has been developed, what changes it has undergone, if it has at all, what is the symbolic meaning of this figure and how it has been used in literature according each era and literary movement. In this study, attention is mainly paid in the role of figure of the Sphinx in the ancient, English and modern Greek literature. The Sphinx, both as a symbol and as a figure, it has been very popular not only in the global literature, but also in painting, sculpture and in various religions all around the world, however the main interest of this study is the examination of the literary field and more specifically, we will try find out if there are any analogies between the English and Greek literature concerning the role of the figure of the Sphinx, because, in our opinion, English writers influenced the most Greek literature.

The study is composed of the annotation, the introduction, three chapters and the conclusion.

The first chapter of the study is devoted to the examination of the origins of the figure of the Sphinx, its use in ancient Greek literature, that resulted to its establishment as a symbol of mystery and death and, finally, to its use in the Roman literature. In this chapter we also examine the problem concerning the formation of the riddle, because the Sphinx and her riddle have become an inseparable unity.

In the second chapter the study examines the revival of the figure of the Sphinx in modern literature and more specifically in the English literature of the XX-th c. according to the literary movements of this period. However, earlier examples of the use of this figure in the English literature has been also mentioned.

In third chapter deals with the role of the figure of the Sphinx in literary works of Modern Greek authors. In this chapter the main goal is to establish the extent of the influence of the English literature on the Greek literature concerning the role of the Sphinx.

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურობიდან საუკუნეებით შორს ვიმყოფებით, მისი ჩრდილი ყოველთვის თან გვდევს. რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული ანტიკური მითები, სიუჟეტები, პერსონაჟები და ზოგადად მისი ელემენტები დომინირებს თანამედროვე ხელოვნების თითქმის ყველა დარგში. თანამედროვე ხელოვნები ამუშავებენ, გარდაქმნიან და თავიანთ ეპოქას არგებენ ანტიკური საუნჯიდან ამოღებულ ელემენტებს, შესაბამისად ამგვარად სულ უფრო და უფრო ამდიდრებენ ანტიკურ სამყაროში ჩამოყალიბებულ ფიგურებს.

Jean-Pierre Vernant-ი ანტიკურობას უწოდებს „ყოველთვის, ყველგან მყოფ აჩრდილს“ (Vernant 1984: 10), რომელსაც სხვადასხვა დარგის მეცნიერები და ხელოვნები მუდმივად სინათლეზე გამოჰყავთ. Lévi-Strauss-ი თავის ნაშრომში „ველური აზროვნება“ (*La pensée sauvage*, 1962) აყალიბებს ტერმინს «bricolage»¹, ანუ ეს ტერმინი გულისხმობს გადამუშავების პროცესს, რომლის საშუალებითაც ძველი მასალები გაოიყენება, რათა შეიქმნას რაღაც ახალი, რომელიც თანამედროვე აპოქასა და ადამიანების მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიტერატურა თავიდან შექმნილი მითოლოგიაა. არსებული ვერსიების კომბინაციით და ახალი ელემენტების დამატებით მითს და მათში არსებულ პერსონაჟებს ახალი შტრიხები ემატება (იოაკიმიდუ -Ιωακείμδου 2014: 45).²

სწორედ, ასე ხდება სფინქსის შემთხვევაშიც. მისი ფიგურა, სიმბოლიკა და როლი უკვე დამკვიდრდა ანტიკურ ლიტერატურაში, თუმცა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ეპოქის მწერლებმა იგი დაგვანახეს სხვადასხვა კუთხიდან, რაც ადასტურებს მის კომპლექსურობასა და მრავალასპექტიანობას. საოცარია, თუ როგორ ხდება ამგვარი სტაბილური სიმბოლოს გადამუშავება და შესპირისპირება.

ჩვენი გამოკვლევის მიზანია დავადგინოთ თუ როგორ, როდის და რამ გამოიწვია სფინქსის ფიგურის ახლებურად გამოყენება და რა მიზნებს ემსახურებოდა. შევეცადეთ ქრონოლოგიურად და დეტალურად წარმოგვედგინა ყველა ის ნაწარმოები რომელიც ანტიკურ, ინგლისურ და თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში სფინქსის სახეს წარმოგვიდგენს, რათა ნათელი იყოს მისი განვითარების ეტაპები.

¹ ტერმინის დეტალური განხილვისთვის იხ. Lévi-Strauss, Claude, Lectures “Myth and Meaning”(1977): 115-118.

² ლიტერატურული მითის თეორიული ანალიზისთვის იხ. იოაკიმიდუ ლ. (Ιωακείμδου, Λ.) (2014).

ნაშრომის საშუალებით, ასევე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელოვნება არის არის წრე. ამის დამადასტურებელია ინგლისური ლიტერატურისა და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის მაგალითი. ანტიკურობაში ძველმა ბერძნულმა კულტურამ დაამკვიდრა სფინქსის სახე, შემდეგ იგი გადავიდა მსოფლიო გადამუშავების პროცესში და საბოლოოდ დაუბრუნდა მის ფესვებს, საბერძნეთს, თუმცა ამ შემთხვევაში ზეგავლენის ქვეშ საბერძნეთი მოექცა და არა პირიქით.

1.სფინქსი ანტიკურ სამყაროში

1.1. სფინქსი ეგვიპტურ და ძველ ბერძნულ ტრადიციაში

ძველი ბერძნული მითოლოგია სავსეა უცნაური არსებებით, სხვადასხვა სახის მონსტრებით და ერთ ერთი მანთგანი და ყველაზე კომპლექსური სფინქსია. მიუხედავად იმისა, რომ სფინქსი პირველად ეგვიპტეში გვხვდება, ბერძნებმა მას შესძინეს განსაკუთრებული როლი და ცნობილი გახადეს მთელს მსოფლიოში, როგორც იდუმალების სიმბოლო.

³ჰეროდეტეს ცნობით ეს ფიგურა ეგვიპტეში გამოისახებოდა ლომის ტანით და მამაკაცისა ან ვერძის სახით (ვერძი ღმერთი ამონ რა-ს წმინდა ცხოველი იყო), ხოლო თავი ფარაონის ატრიბუტით ჰქონდა შეხვეული, საიდანაც ხშირად ლომის ფაფარი მოჩანდა. ლომისთავიანი სფინქსი გამოხატავდა ლომის სიმბოლოებსა და ადამიანის გონების სიმბოლოურ კავშირს. ანტიკურობაში სფინქსის გარეგნობა ძალიან ვარირებადი იყო, მაგ. ტანი ხშირად ძაღლის ჰქონდა, კუდათ გველი ება, გულმკერდი კი ქალწულის. სფინქსი დროთაგანმავლობაში უფრო და უფრო ქალური სახით და ისიდას მკერდით ხდებოდა გამოსახული, მაგ. ერთი გამოხატავს ფარაონ ფსამეტი 1-ს ცოლს. ეგვიპტეში გიგანტური სფინგები ტაძრების შესავლელლებთან იდგნენ და დაცვის სიმბოლოს წარმოადგენდნენ. სავარაუდოდ, სფინქსის ფიგურა, ასევე არსებობდა ასირიელებისა ან ხეთების აღმოსავლური მითოლოგიაშიც, ხოლო ეგვიპტეში იგი მზის ღმერთს ამონ რა-ს განასახიერებდა ან ღმერთ ჰარმახს. სფინქსი აგვირგინებდა პირამიდების პეიზაჟს და ყველაზე დიდი სფინქსი გრანიტის კლდიდან გამოჭედილია და გიზეჰში დგას, რომლის სიგრძე არის 57 მ. და სიმაღლე 20 მ. იგი გამოკვეთილია დაახლოებით ძ.წ. 2540 -2515 წლებში.

³ მითოლოგიური ლექსიკონი, აკაკი გელოვანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

სფინქსის სახელის ეტიმოლოგია დავას იწვევს. არსებობს ორი თეორია: 1. იგი გამომდინარეობს ეგვიპტური სიტყვიდან Sspa- nx, რაც ნიშნავს ღვთაებრივ სახეს, ხატს⁴, 2. იგი მომდინარეობს ძველი ბერძნული ზმნიდან Σφίγγα, რაც ნიშნავს მგუდვას, მოჭერას. თვით ეგვიპტელები ეძახდნენ „მოელვარეს“, უფალს და სხვ. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სიტყვის ეტიმოლოგიური ფუძის შესახებაც. რამეთუ ანტიკური წყაროების მიხედვით ძნელია იმის დაზუსტება, თუ რა სემანტიკას შეიცავდა Σφίγγ ფუძე, მით უფრო, რომ ფორმატივი Σφίγγιον აღნიშნავდა მაიმუნების ერთ-ერთ სახეობას. ამ ფუძიდან არაერთი კომპოზიტიან წარმოები, მაგ. αὐδαιο-σφίγγ, რაც ჰეროდოტეს მიხედვით მამრ σφίγγ-ს აღნიშნავდა. ბერძნული ენის უახლესი ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორი ბეკესი მხარს არ უჭერს არც ტერმინის ეგვიპტურ წარმოშობას და ვერსიებს, არც მის ახსნას ბერძნული ენის საფუძველზე. იგი არ გამორიცხავს, რომ ტერმინი წინა ბერძნული წარმოშობისა იყოს.⁵

ფაქტი კი ის არის, რომ სფინქსი ეგვიპტური ტრადიციისთვის ძალზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთი თეორიის თანახმად სფინქსის სახე ატარებდა ეგვიპტელების სახისთვის დამახასიათებელ ნაკვეთებს: ფართე შუბლი, ღრმა თვალები, მრგვალი ლოყები და დიდი ტუჩები. იგი ყოველთვის ატარებდა წვერს, რომელიც ზემოთა მხარეს იწეოდა. ამ ფიგურის სიმბოლური მნიშვნელობის წყარო დაუდგენელია, თუმცა განასახიერებს ადამიანურისა და ცხოველურის საკრალურ კომბინაციას. სფინქსის ძეგლები ძირითადად იდგა ტაძრების შესასვლელებთან და დიდი ალბათობით, სიმბოლურად იცავდა ტაძარში არსებულ საკრალურ რიტუალებსა და საიდუმლოებებს. დროთაგანმავლობაში მისი გარეგნობა და მორთულობა დაიხვეწა. ბევრ შემთხვევაში იგი წარმოგვიდგება სამკაულებითა და სამეფო დინასტიების

⁴ <http://en.wikipedia.org/wiki/sphinx>

⁵ Etymological dictionary of Greek, vol. 2, Robert Beekes, Leiden indo-european etymological dictionary series, Brill, p. 1431

ემბლემებით მორთული. პლინიუსი, დიოდოროსი და სტრაბონი მოგვახსენებენ, რომ ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ უდაბნოში სფინქსის მაგვარი არსებები ცხოვრობდნენ. ეგვიპტელებისთვის უდაბნო წარმოადგენდა უდიდესი იდუმალების წყაროს, შესაბამისად ეს არსებები გაიგივებულნი იყვნენ ამოუცნობ გამოცანასთან. თუ როგორ მოაღწია სფინქსის ფიგურამ საბერძნეთამდე ბუნდოვანია, თუმცა თავდაპირველად სფინქსი ბერძნებისთვის მზის ღმერთის, ჰოროსის, გამოსახულებას წარმოადგენდა.⁶

ბერძნულ ლიტერატურაში მას ეძახდნენ სფინქსს ანუ გამგუდველს და იგი ცნობილი გახდა, ძირითადად, ოიდიპოსთან დაკავშირებული მითისგან. ჰესიოდეს მიხედვით, იგი იყო ორთოსისა და ქიმერას ნაშიერი, ხოლო სხვა ვერსიით იგი ტიფონისა და ექიდნას ასული იყო⁷. მითის მიხედვით სფინქსი ჰერამ გაგზავნა თებეში კადმოსის შთამომავლის, ლაიოსის, დასასჯელად, რადგან მეფემ ჭაბუკი ქრისიპე გააუპატიურა. სხვა ვერსიის თანახმად იგი არესმა გაგზავნა თებეს შესასვლელში მოსახლეობისა და კადმოსის გასანადგურებლად, რადგან მან ქალაქის საძირკველის ჩაყრის დროს მან მოკლა არესის დრაკონი. იგი გამვლელს ურთულეს გამოცანას ეკითხებოდა და თუ ვერ გამოიცნობდა სიკვდილამდე გუდავდა. მითის ერთი ვერსიის მიხედვით სფინქსი თვითონვე გადავარდებოდა უფსკრულში (ჰესიოდე თეოგონია 326) და თავს გაინადგურებდა გამოცანის ამოხსნის შემთხვევაში, სხვა ვერსიის მიხედვით ოიდიპოსმა განგმირა იგი⁸. მისი გამოცანა ამგვარად ჟღერდა „იგი არის სულიერი, გააჩნია ხმა, დილით ოთხ ფეხზე დადის, შუადღისას ორზე და საღამოთი სამზე?“. წლები ავლებდა მუსრს თებელ ხალხს ეს საშინელი ურჩხული, სანამ ოიდიპოსმა არ ამოხსნა მისი გამოცანა. მკვლევარების აზრით, ეს საშინელი სიკვდილის მატარებელი არსება, სინამდვილეში, განასახიერებდა ჭირს, რომელიც ტანჯავდა თებეს წლების

⁶ Helen Mary Tirard (1890) The Great Sphinx: Ideas of the Sphinx in the Ancient World, Archaeological Journal, 47:1, 28-42

⁷ Dictionary of Classical Mythology, J. E. Zimmerman, Bantam books, p.p. 246-247.

⁸ მითოლოგიური ლექსიკონი, ნოდარ გაფრინდაშვილი, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1972.

განმავლობაში. თავად ჰესიოდეს თავის თეოგონიაში, სფინქსის აღწერისას მას უწოდებს „კაცთა ჭირს“, (ჰეს. თეოგონია 326).

აღმოსავლეთიდან შეღწეულმა სფინქსმა საბერძნეთში მიიღო მარადიული იდუმალების სიმბოლოს დანიშნულება. მიუხედავად იმისა, რომ ოიდიპოსმა ამოხსნა გამოცანა, იგი კვლავ აკრძელებს არსებობას ანტიკურ ლიტერატურაში, როგორც ამოუცნობი არსება. მისი გარეგნობა საშინელი, ცხოველური, მაგრამ ამავედროულად ძლიერი და ქალურად მომხიბვლელი, ბერძენი ავტორების ყურადღებას იპყრობს და იძენს მისტიურ ხასიათს.

სფინქსი ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაში პირველად გვხვდება ჰესიოდეს თეოგონიაში. ⁹თეოგონია წარმოადგენს გენეალოგიურ პოემას, ანუ მოგვითხრობს ღმერთებისა და სამყაროს შექმნის ამბებს. თეოგონიის 326-ე სტრიქონში იგი გვიამბობს სფინქსის დაბადების შესახებ. იგი არის საშინელი ურჩხულების, ექიდნასა და ორთოსის, ასული. ჰესიოდეს გასაოცარი დეტალებით მოგვითხრობს ამ არსებების წინაპრების შესახებ, რაც ხაზს უსვამს მათ ბოროტ ბუნებას, შესაბამისად, არ არის გასაკვირი, როდესაც პოეტი მას უწოდებს ადამიანებისთვის ჭირის მომტანს. სფინქსმა გაანადგურა კადმოსის შთამომავლები და ასევე ბოლო მოუღო ნემესას ლომს, რომელიც თავად ჰერამ აღზარდა. ჰესიოდეს სფინქსს ასევე ახსენებს თავის პოემაში „სამუშაონი და დღენი“. აქ უკვე იგი მოიხსენიებს სფინქსს, როგორც გამოცანის მესაკუთრეს. სფინქსი და გამოცანა იმდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ პოეტის მიერ ზედმეტი ახსნა განმარტება აღარ არის საჭირო, ყველამ იცის სფინქსიც და მისი გამოცანის შინაარსიც (სამუშაონი და დღენი, 533). გამოცანა და სფინქსი უკვე ერთმანეთის ომონიმებია. სფინქსის სახელი ასევე ნახსენებია პოემაში „ჰერაკლეს ფარი“, რომელიც ასევე მიეწერება ჰესიოდეს შემოქმედებას, თუმცა ამ შემთხვევაში ნახსენებია მხოლოდ გორაკი,

სახელად Φίλοιον (სტრქ. 33), რომელიც მდებარეობდა თებეს მახლობლად და ეტიმოლოგიურად უკავშირდება სფინქსს.

სფინქსის ჰესიოდესეული წარმოდგენა, როგორც უბედურების მომტანი არსება, მკვიდრდება და შემდგომ გვხვდება ესქილეს ტრაგედიაში „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“. მკვლევარების მიხედვით, ესქილეს ამ ტრაგედიებთან ერთად შეუქმნია სატირული დრამა „სფინქსი“. ამ ტეტრალოგიის წყალობით მას მოუპოვებია პირველი ადგილი ანტიკურ დრამატულ შეჯიბრებაში ძვ. წ. 467 წელს¹⁰. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე ვერ მოაღწია სატირულმა დრამამ სახელად „სფინქსი“, გაკვირვებას იწვევს ჩვენში ესქილეს გადაწყვეტილება სფინქსის ეპიზოდი გადმოეცა, სატირული დრამის ფორმით. ძალზე საინტერესო იქნებოდა გვეხილა სფინქსი სიცილის მომგვრელ ნაწარმოებში, რადგან მისი სახე უმეტესწილად გამოყენებულია უარყოფით და დანმორგუნველ კონტექსტში. ტრაგედიაში სფინქსი ინარჩუნებს მის ადგილს თებეს მახლობლად არსებულ გორაკზე, თუმცა ესქილეს აქაც შემოაქვსსიახლე . სფინქსი დატყვევებული გვევლინება პოლინიკეს მიერ, იგი ჯაჭვებით არის დაბმული და ხელთ ყავს ჩაგდებული ერთ ერთი კადმოსელი, რათა თავიდან აიცილოს ნატყორცნი იარაღი. იგი მოხსენიებულია კვლავ კაციჭამია ურჩხულად და მიუხედავად იმისა, რომ დაბმულია ესქილეს მიერ აღწერილი სურათი მკითხველს შიშს ჰგვრის

«Σφίγγ’ ἄμύσιτον προσμεμηχανήμενην
γόμοις ἔνωμα, λαμπρὸν ἔκκρουστον δέμας
φέρεϊ δ’ ἔφ’ ἀστῆ φᾶτα Καδμείων ἕνα,
ᾧς πλεῖστ’ ἐπ’ ἀνδρὶ τᾶδ’ ἰάπτεισθαι βέλη. ἐλθὼν δ’ ἔοικεν οὐ κατηλεῦσειν μάχην» , „სფინქსი სასტიკი, მშვენიერად ხატად ნაჭედი; ფეხქვეშ ეტევა კადმოსელს ერთსა და ლამობს მკერდი გაუფიწლოს ისრით, ეტყობა, ბრძოლა სახუმარო საქმედ არ უჩანს და შესარცხვენად გრძელი გზა არ გამოუვლია.“ (ესქილე, სტრ.

¹⁰ ი.ხ. ბერძნული ლიტერატურა, რისმაც გორდუზიანი, გამ. „ლოგოსი“, თბილისი 2014, გვ. 324.

541-545). იგი დატყვევებულია პოლინიკეს მიერ, რომელიც თებეს მტრად გვევლინება და სფინქსი, რომელიც აქამდე ბატონობდა მაგ ტერიტორიაზე, თავისდაუნებურად იარაღად იქცევა. ესქილეს მიერ დახატული სურათი მკითხველში სფინქსის მიმართ თანაგრძნობასა და ზიზღსა იწვევს ერთდროულად. თანაგრძნობას, იმიტომ, რომ ეს უძლიერესი არსება დატყვევებულია და თავის გადარჩენას ცდილობს ყველანაირი ხერხის გამოყენებით, და ზიზღს, რადგან იგი ფარად ადამიანს იყენებს, თუმცა ესქილე არ გვაავიწყებს მის ბოროტ ბუნებას, მას არ აინტერესებს მტერის ვინაობა, მისთვის ყველა ადამიანი მტერია.

ესქილეს ტრადიციას აკრძელებს ¹¹სოფოკლეს და ტრაგედიის მასალად გამოიყენებს თებეს ციკლში შემავალ მითებს. იგი წერს „ოიდიპოს მეფეს“ და სავარაუდოდ 425 წლამდე უნდა ყოფილიყო შექმნილი. ტრაგედიის სიუჟეტში სფინქსი არ ჩანს, იგი დამარცხებულია ოიდიპოსის მიერ, თუმცა ოიდიპოსისა და კრეონის საუბრისას არის ნახსენები, «ἢ ποικιλᾷδὸς Σφίγγ τὸ πρὸς ποσὶν σκοπεῖν, μεθέντας ἡμᾶς τὰ φανῆ προσηύετο», „ცბიერმა სფინქსმა გვაიძულა, ბოროტ-მოლექსემ ფერხთით გვეცქირა და ფარულზე აღარ კი გვეზრუნნა“ (სოფოკლე, სტრქ. 130). კრეონი ოიდიპოსს აუწყებს, რომ სფინქსმა, რომელიც თავის გამოცანით ატერორებდა თებეს, აიძულა თებელი ხალხი დაევიწყებინათ ფარული პრობლემები და გამოსავალი ეძიებინათ ჭირის დასასრულებლად. იგი ყურადღებას ამახვილებს სფინქსის სამეტყველო ნიჭზე, მას მოლექსეს უწოდებს, თუმცა ამ ნიჭს იგი ბოროტად იყენებს. სოფოკლესთანაც იგი ინარჩუნებს მის ტრადიციულ სახესაც და ფუნქციასაც.

თებეს ციკლში შემავალი თქმულებები, როგორც ჩანს ძალიან პოპულარული იყო და ¹²ევრიპიდეც ვერ უგულვებელიყოფდა. ტრაგედიის ბოლო ბუმბერაზიც, გვიამბობს თებესა და ლაზდაკიდების უბედურებაზე თავის ტრაგედიაში

¹¹ ი.ხ. ბერძნული ლიტერატურა, რისმაც გორდეზიანი, გამ. „ლოგოსი“, თბილისი 2014, გვ. 363.

¹² ი.ხ. ბერძნული ლიტერატურა, რისმაც გორდეზიანი, გამ. „ლოგოსი“, თბილისი 2014, გვ. 425.

„ფინიკიელი ქალები“. იგი ძვ. წ. 411- 409 წლებში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და აერთიანებს თებეს ციკლის ყველა მთავარ თემას. «Σφίγγ ἀρπαγαῖσι πόλιν ἔμους τ' οὐκ ἦν πόσις, / Κρέων ἀδελφὸς τὰμὰ κηρὸν σσει λέχη, / ὄστις σοφῆς αἶνιγμα παρθένου μάθοι, / τούτω Ξυνάψειν λέκτρα. τυγχάνει δὲ πᾶς / μούσας ἔμους παῖς Οἰδίπους Σφίγγος μαθών», „ოდეს ანადგურებდა ქალაქს სფინქსი, არც მეფე გვყავდა, კრეონმა, ჩემმა ძმამ, საქვეყნოდ გამოაცხადა, ბრძენი ქალწულის ენიგმას ვინც გამოიცნობდა, ჩემს ქმრად დასვამდა, მოხდა ისე, რომ ჩემმა ვაჟმა, ოიდიპოსმა, გამოიცნა სფინქსის სიმღერა“ (ევრიპიდე, სტრიქ. 46-50), ამ სტრიქონებში იოკასტე მოგვითხრობს, თუ როგორ ბატონობდა სფინქსი და როგორ დამარცხდა ოიდიპოსის მიერ. იაკასტეს მიერ აღწერილი სფინქსი არის სიკვდილის მომტანი, მაგრამ ამავდროულად მის სიტყვებში წინა პლანზეა გადმოწეული სფინქსის ქალური ასპექტი. სფინქსს უწოდებს გამჭრიახ ქალიშვილს (σοφῆς, παρθένου) და მის გამოცანას მუზების მიერ გადმოცემულ სიმღერას (μούσας). ევრიპიდე იოკასტეს თხრობის მეშვეობით, ხაზს უსვამს სფინქსის ქალურ ბუნებასა და მომხიბვლელობას, იგი შეგვიძლია ვთქვათ, რომ სირინოზების მსგავსი ხდება.

სფინქსი, მიუხედავად იმისა, რომ თებეს ციკლის მითებში ძალიან დამრთავუნველ ფიგურას წარმოადგენს, გადადის კომედიის სფეროშიც. არისტოფანეს ‘ზაყაყებში’ ევრიპიდე დიონისესთან საუბრისას მოიხსენიებს თებესაც და სფინქსსაც. საინტერესოა დავინახოთ, თუ როგორ აღწერს კომედიოგრაფოსი სფინქსის შიშისმომგვრელ სახეს კომედიაში.

სფინქსი ჩნდება, ევრიპიდეცა და ესქილეს შორის შეჯიბრების კონტექსტში. ევრიპიდეც მოჰყავს მაგალითები ესქილეს ტრაგედიებიდან, რათა დიონისეს დაუმტკიცოს, რომ იგი ესქილეზე უკეთესი მწერალია და, რომ ესქილეს ახასიათებს ერთფეროვნება. ამდენად, თვალსაჩინოა, რომ არისტოფანესთვის მთავარი არა სფინქსის კომიკურობის ასახვა, არამედ მისი ესქილესეული

ინტერპრეტაციის კრიტიკაა. ევრიპიდეს ასე გადმოქცევს ესქილეს მიერ დაწერილ სრიქონებს: «ὄπασ Ἀχαιῶν δίθρονον κράτος, Ἑλλάδος ἦβας, /τοφλαττοθρατ τοφλαττοθρατ, //Σφίγγα δυσαμεριᾶν πρύτανιν κύνα, πέμπει, /τοφλαττοθρατ τοφλαττοθρατ, /σὺν δορὶ καὶ χερὶ πράκτορι θούριος ὄρνις, /τοφλαττοθρατ τοφλαττοθρατ, /κυρεῖν παρασχῶν ἰταμαῖς κυσὶν ἀεροφοίτοις, /τοφλαττοθρατ τοφλαττοθρατ, /τὸ συγκλινές τ' ἐπ' Αἴαντι /τοφλαττοθρατ τοφλαττοθρατ.», „აქაველთა ორი ტახტის დარად მთელი საბერძნეთი, ტოფლატოთრატოფლატოთრატ, სფინქსს, შავი დღის ძუკნა-პრიტანს, გააგზავნის, ტოფლატოთრატოფლატოთრატ, საზარელი გველეშაპი შუბითა დ მსახრალ ხელით, ტოფლატოთრატოფლატოთრატ, მასახვედრად ცაში მფრინავძალებს უხმობს ტოფლატოთრატოფლატოთრატ, აიასის წინააღმდეგ, ტოფლატოთრატოფლატოთრატ“ (არისტოფანე, ბაყაყები 1285-1295). მთავარი სამიზნე არის ესქილეს და ამიტომ ხდება ამ სრიქონების გარკვეული პაროდირება. იგი სრულიად ანადგურებს სფინქსის ავტორიტეტს და მას უწოდებს «δυσαμεριᾶν πρύτανιν κύνα», ანუ უიღბლო წინამძღოლ ძაღლს. სფინქსი ხდება ურჩხული, რომელსაც მართავენ, იგი სრულიად კარგავს თავის დამოუკიდებლობას. ინარჩუნებს თავის გარეგნობას, მას აქვს ფრთები და უცნაური შეხედულება თუმცა იგი, ევრიპიდეს თანახმად, ხდება იარაღი პოლინიკეს ხელში, რომელმაც გაილაშქრა ძმისა და თებეს წინააღმდეგ. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, ეს სტრიქონები გვხდება კომედიისაში, სფინქსის ფიგურა საკმაოდ ტრაგიკულად გვევლინება. იგი არის ფრთებიანი ურჩხული, რომელიც დატყვევებულია და იძულებული ხდება მიიღოს მონაწილეობა ომში თავისდაუნებურად. მის სახეში გაერთიანებულია სიძლიერე და უძლურობა ერთდროულად. სტრიქონების კომიკური ელემენტი, რომელიც წარმოადგენს «τοφλαττοθρατ τοφλαττοθρατ» ფრაზის გამოყენება, საერთოდ არ ეხება სფინქსს, ეს მხოლოდ ესქილესეული სტრიქონების უაზრობას გამოხატავს და მრავალჯერ

არის გამოყენებული ევრიპიდეს მიერ, რათა ხაზი გაუსვას მეტოქე ტრაგიკოსის ერთფეროვნებას.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სფინქსის მთავარი მახასიათებლები ანტიკურ ლიტერატურაში მეტნაკლებად ერთი ღერძის გარშემო იგება. იგი არის საშინელი ურჩხული, გამოცანის მფლობელი, თებესთვის უბედურების მომტანი, თუმცა გამოცანის ამოხსნის შემდეგ იგი სრულიად ნადგურდება, ან კვდება ან სხვების კონტროლის ქვეშ ხვდება, რაც იწვევს მკითხველის გარკვეულ თანარგძნობას.

სფინქსის სახელი მოხსენიებულია ასევე, პლატონის ერთ ერთ დიალოგში. იგი თავის ნაშრომში სახელად *კრატილოსი* ცდილობს დაადგინოს ენის ბუნება და მსჯელობს სახელების წარმოშობასა და შექმნაზე. მაგალითად მოაქვს სფინქსის სახელი:

¹³«ἀληθείας οὐδὲν φροντίζοντες, τὸ δὲ στόμα πλάττοντες, ὥστ' ἐπεμβάλλοντες π ὀλλὰ ἐπὶ τὰ πρῶτα ὀνόματα τελευτῶντες ποιουσὶν μὴδ' ἄνῃνα ἀνθρώπων συνεῖ ναι ὅτι ποτὲ βούλεται τὸ ὄνομα: ὥσπερ καὶ τὴν Σφίγγαντὶ 'φικὸς' 'σφίγγα' καλοῦσιν, καὶ ἄλλα πολλά.» ამ სტრიქონებში განხილულია სფინქსის სახელი ენათმეცნიერული თვალსაზრისით, და იგი თვლის, რომ მას არასწორად მოიხსენიებენ. სახელის, ასეთი არასწორი, განვითარება ისეთი ადამიანების ბრალია, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებთ ჭეშმარიტება.

მიუხედავად, იმისა რომ პლატონი არ გვესაუბრება სფინქსის პერსონაჟზე, ვხვდებით, რომ მაგალითად ირჩევს მას, რადგან საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული უნდა ყოფილიყო ეს ფიგურა. სახელის განვითარების ამგვარი მანერა, მიუთითებს მის მრავალჯერად გამოყენებაზე. სავარაუდოდ სფინქსი, როგორც პერსონაჟი საკმაოდ სანეტერესო უნდა ყოფილიყო და შესაბამისად ბევრი

¹³ Πλάτωνας, Κρατύλος 414 d, (პლატონი, კრატილოსი)

ადამიანი მოიხსენიებდა მას და ცვლიდა კიდევ, არა მხოლოდ მისი მახასიათებლებსა და გარეგნობას, არამედ სახელსაც კი.

¹⁴მგ. წ. მე-II ს. აპოლოდოროსიკ მოგვითხრობს თებეს შესახებ და მასზე დატეხილ უბედურებაზე. მე-3 წიგნის მე-5 თავში იგი თავიდან ბოლომდე მოგვითხროს, თუ რამ გამოიწვია თებეს უბედურება და როგორ მოევლინა სფინქსი. აქაც შენარჩუნებულია ტრადიციულობა და სფინქსი გვევლინება, როგორც ღმერთების მიერ გამოგზავნილი უძლიერესი არსება, თუმცა დამარცხების შემდეგ უფსკრულში თავად გადავარდება, რადგან მას უკვე არანაირი ფუნქცია არ გააჩნია. დეტალურად არის აღწერილი მისი გარეგნობა და უკვე პირდაპირ არის ნახსენები, რომ მას ქალის თავი ჰქონდა. აქამდეც მოიხსენიება, როგორც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, თუმცა აქ უკვე ნათლად ხდება სქესისა და გარეგნობის დეკლამაცია. ასე ხდება გამოცანის დაკავშირება ქალურ ბუნებასთან.

¹⁵ჰესიოდედან მოყოლებული ქალი ნელ ნელა იძენს უარყოფით მნიშვნელობას, იგი საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ყველა უბედურების მომტანად ითვლება. შეგვიძლია გავიხსენოთ მედეა, კლიტემნესტრა, ელენე და ა.შ. შესაბამისად არ გაგვიკვირდება, რომ სფინქსიც მდედრობითი სქესის წარმომადგენლად ითვლება.

ახ. წ. მე-II ს. ისტორიკოსი პავსანიასი აგვიღწერს ატიკაში მდებარე პართენონს, სადაც დგას ქალღმერთი ათენას ქანდაკება. პავსანიასი ყურადგებას ამახვილებს მის მუზარადზე, სადაც გამოსახულია სფინქსის მაგვარი არსება

¹⁶«μέσα μὲν οὖν ἐπίκειται οἱ τῷ κράτει Σφιγγὸς εἰκάν». სფინქსის ფიგურა ათენას მუზარადზე მის პოპულარობასა და ავტორიტეტულ ხასიათზე მიუთითებს. სფინქსი უკავშირდება ცოდნის ქალღმერთს და მას უფრო მეტ დიდებას სძენს, სფინქსიც, ხომ ისეთი საიდუმლოს მფლობელი იყო, რომ ვერავინ ამარცხებდა,

¹⁴ Απολλόδορος, βιβλίο 3 κεφ. 5, (აპოლოდოროსი, წ. 3, თავ. 5

¹⁵ L.S. Sussman, "Workers and Dornes; Labor, Idleness and Gender Definition in Hesiod's Beehive

¹⁶ Πασανίας, Περι Αττικής, κεφ. 24. 1, (პავსანიასი, ატიკას შესახებ, თავ. 24.1

მისი ცოდნა მისი ძალა იყო, როგორც ასევე ათენას ძალაც, სწორედ ცოდნაში და სიბრძნეში მდგომარეობს.

სფინქი პავსანიასის სხვა ფრაგმენტებშიც გხვდება, თუმცა იგი კვლავ წარმოდგენილია ტრადიციული სახით და მისდევს ოიდიპოს მეფესთან დაკავშირებულ მითს (Description of Greece 9. 26. 2.), რომლის მიხედვითაც სფინქსი ყველას შთანთქავდა ვინც კი მიუახლოვდებოდა. საინტერესოა პავსანიასის სხვა ფრაგმენტი, სადაც აღწერს ოლიმპიაში მდებარე ზევსის ტაძარში არსებულ ნახატს. ნახატზე გამოსახულია თუ როგორ შთანთქავენ სფინქსები თებელ ბავშვებს, (Description of Greece 5. 11. 2.) დიდი ალბათობით ეს იყო ჭირის სიმბოლური გამოსახულება, რომელიც თებელ ხალხს ანადგურებდა.

1.2. სფინქსი რომაულ ლიტერატურაში

რომაულ ტრადიციაში სფინქსის არ არის იმდენად პოპულარული, როგორც ეს ბერძნულ სამყაროში ხდება. ბერძნულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ სფინქსის სახე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძალიან ბევრგან გამოიყენებოდა და შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამოწურა მისი პოტენციალი. ბერძნულმა ლიტერატურამ სფინქსი დაამკვიდრა, როგორც საშინელი, სიკვდილის მომტანი, საიდუმლოებით მოცული არსება და შესაბამისად რომაულ ლიტერატურაშიც ასე გადადის.

პუბლიუს პაპინიუს სტატიუსი, რომაელი პოეტი, წერს თორმეტ ნაწილიან ეპოსს სათაურად „თებაისი“ (ახ. წ. 1 ს.), სადაც გამოყენებული თებეს ციკლში შემავალი მითები და ძირითადად განიხილება ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ¹⁷. პოეტი ტრადიციულ ვერსიას მიჰყვება და ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, ოიდიპოსის მოხერხებულობასა და სიჭკვიანეს, ხოლო მეორე მხრივ სფინქსის სასტიკ ბუნებას “By wit of the foreshowing I {Oedipus} solved the riddles of the cruel Sphinx” (Statius, *Thebaid* 1. 66).

როგორც ჩანს ბერძნული ლიტერატურის გავლენა რომაელებზე ახ. წ. I ს. საკმაოდ ძლიერი იყო, რადგან ამავე საუკუნეში კიდევ ორ მწერალს ვხვდებით, რომელთა შემოქმედება ეყრდნობა ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციას.

პირველი არის ოვიდიუსი და მისი მეტამორფოზები. ოვიდიუსი მოგვახსენებს, რომ ოიდიპოსმა წარმატებით ამოხსნა გამოგაცანა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფრაგმენტში არ არის რაიმე ახალი ან ინოვაციური, ოვიდიუსი სტრიქონებში უფრო მეტად გამოკვეთს გამოცანას და მის მნიშვნელობას ვიდრე სფინქსის გამანადგურელ ძალას “The riddle that had baffled earlier brains was solved by Laiades {Oidipus son of Laius} and headlong down the Carmina {Sphinx} had fallen, her mysteries

¹⁷ Ross, Charles Stanley. *Seven Against Thebes: the Thebaid*, Published January 10th 2007 by Johns Hopkins University Press, introduction.

forgotten” (Ovid, *Metamorphoses* 7, 759 ff). წინადადებაში არის გამოყენებული ვნებითი გვარი და წინადადების მთავარი ნაწილი არის გამოცანა. გამოცანამ გააწვალა ადამიანთა ტვინი და არა სფინქსმა, გამოცანის ამოხსნის შემდგომ დაიკარგა ყოველგვარი საიდუმლოება. სფინქსი გამოცანის გარეშე არაფერს წარმოადგენს და დავიწყებას მიეცემა.

მეორე მწერალი არის სენეკა. იგი თავის ნაწარმოებს ქმნის ოიდიპოს მეფის მითის გამოყენებით. ოიდიპოსისა და სფინქსის შეხვედრის აღწერა ძალიან საინტერესოა. ოიდიპოსისგან განსხვავებით, იგი არ არის ლაკონური. სენეკას ოიდიპოსი დაწვრილებით აღწერს სფინქსთან შეხვედრას. სენეკას სფინქსის აღწერილობა აქამდე ყველაზე ამაზრზენია. მას საშინელი სისხლიანი კბილები აქვს და თეთრი ძვლების გორაკზე დგას. იგი მუდამ მზად არის თავდასხმისთვის და ვეფხვისმაგვარ კუდს აკეთ იქით იქნევს აგრესიულად. მიუხედავად ამისა, ოიდიპოსი ამბობს, რომ მან უკან არ დაიხია, საშინელების წინაშე დადგა და გამოცანა ამოხსნა. თებეში გავრცელებულ ჭირს კი ეხლა სფინქსის აჩრდილს აბრალებს (Seneca, *Oedipus* 87 ff).¹⁸ სენეკა ესქილესგან განსხვავებით დეტალურად აღწერს სფინქსის ადგილ სამყოფელსა და იმას, თუ როგორ ესხმება თავს მამაკაცებს. ამგვარი აღწერა მოგვაგონებს საშინელებათა ჟანრის დრამებს და ეს მეთოდი გამოყენებულია რათა გამძაფრდეს უარყოფითი და ბნელი გარემო, მასთან სიკვდილი სიცოცხლე ერთ სივრცეში ხვდება და სფინქსი ასოცირდება არაპირდაპირი გზით სირინოზებთან, რომელთა მსხვერპლიც, მამაკაცები, დაუმარხავები რჩებიან. სფინქსი, როგორც სირინოზები იწყებს თავისი მომაკვდინებელი ნაღვლიანი სიმღერის (*triste carmen*) გალობას და ამავდროულად აგრესიულად და ძლიერად იქნევს ლომისებურ კუდს. ამ შემთხვევაშიც ვხედავთ, რომ სფინქსის სახე კვლავ კომპლექსური და წინააღმდეგობრივი რჩება. იგი ძლიერი და საშიშია, ადამიანიც და ცხოველიც, ცოცხალიც მაგრამ არამქვეყნიურიც, ამაზრზენიც მაგრამ ნაღვლიანიც.

¹⁸ *Oedipus and the Sphinx, The Threshold myth from Sophocles through Fraud to Cocteau*, Almut-Barbara Renger, University of Chicago Press, Chicago and London 2013, pg 21.

ოვიდიუსისგან განსხვავებით წინა პლანზე დგას თავად სფინქსის სასტიკი გარეგნობა და ბოროტი ბუნება და არა გამოცანის სიძნელე. ოიდიპოსისა და სფინქსის მითი, ასევე ნახსენებია ფსევდო-ჰიგინუსთან ახ. წ. მე-II ს. (Pseudo-Hyginus, Fabulae 67).

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბერძნული ტრადიცია ღრმად ჩაიბეჭდა მწერალთა გონებაში, და არა მხოლოდ. სფინქსი ეგვიპტური საკრალური არსებიდან გარდაიქმნა ლიტერატურულ პერსონაჟად ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, ხოლო შემდეგ იგი დამკვიდრდა, როგორც მრავალასპექტიანი სიმბოლო, რომლის განუყოფელი ნაწილია გამოცანა. მისი მრავალასპექტიანობა იმაში გამოიხატება, რომ იგი მიუხედავად იმისა, რომ უძლიერესია ერთი შეხედვით იგი ასევე უძლურია საკუთარი ბედისწერის წინაშე, გამოცანა რომელიც მას ძალას აძლევს, ასევე საბოლოოდ ანადგურებს. თუმცა ესქილესთან სფინქსი წარმოდგენილია კვლავ ძლიერი და საშიში, ოიდიპოსთან დამარცხების ბევრი წლის შემდეგ (ესქილე, სტრ. 541-545). მიუხედავად იმისა, რომ იგი არაამქვეყნიური ფიზიკური ძალის მფლობელია, გამოცანის გარეშე უბრალო იარაღად გადაიქცა.

1.3. სფინქსის გამოცანის ფორმულირება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სფინქსის მთავარი ძალა მდგომარეობს გამოცანაში. იგი დროთა განმავლობაში სფინქსის სინონიმად იქცა. საინტერესოა, როგორ ჩამოყალიბდა ანტიკურ ლიტერატურაში ამ გამოცანის შინაარსი და ფორმა. რაც უფრო კომპლექსურია გამოცანა, მით უფრო კომპლექსურად მოგვევლინება სფინქსის სახე.

უპირველეს ყოვლისა, სფინქსის გამოცანის შინაარსი პირველად სოფოკლეს ტრაგედიაში უნდა ყოფილიყო გადმოცემული, თუმცა არც ამ ტრაგედიაშია ასახული პირდაპირი გზით გამოცანა. ზოგადი შინაარსი ასეთი იყო: „რა არსება არის ის, რომელიც დილით ოთხ ფეხზე დადის, შუადღისით ორით და ღამე სამით“. „ოიდიპოს მეფეს“ პირველივე სტრიქონებში საუბარი ხდება იმ უბედურებაზე, რაც თებეს ანადგურებს, ეს ჭირი არ ანადგურებს მხოლოდ ადამიანებს, არამედ ცხოველთა სამყაროსაც. თავად სფინქსის გარეგნობა არის ადამიანურისა და ცხოველურის შერწყმა, ფაქტი რომელიც უფრო მეტად ახდენს ზეგავლენას გამოცანის ამომცნობზე.

თავად ოიდიპოსი გადის გარკვეულ ეტაპებს, რათა შეძლოს გამოცანაზე პასუხის გაცემა. ¹⁹ეს არ ყოფილა ადვილი პროცესი, როგორც შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, არამედ საჭიროებდა სერიოზულ დაფიქრებას. ამ პროცესის სირთულეს ოიდიპოსი აღწერს ტირესიასთან საუბრისას. იგი აღნიშნავს, რომ ცოდნის ვერანაირი ფორმა ვერ დაეხმარა ადამიანებს გამოცანის ამოხსნაში, იგი არც ღვთიურისგან, არც ჩიტებისგან არ მომდინარეობდა: “With intelligence not taught by birds”²⁰, ამ ფრაზით წიგნის ავტორი მიუთითებს იმ კომპლექსურ გონებრივ პროცესზე რომელიც საჭირო იყო გამოცანის ამოხსნისთვის. შემდეგ კი გამოჩნდა თვითონ, ოიდიპოსი არაფრის მცოდნე ადამიანი და გაანადურა სფინქსი

¹⁹ Terence Rajivan Edward, University of Manchester, How did Oedipus solve the riddle of the Sphinx?

²⁰ Oedipus and the Sphinx, The Threshold myth from Sophocles through Freud to Cocteau, Almut-Barbara Renger, University of Chicago Press, Chicago and London 2013, pg. 9.

(ოიდიპოს მეფე, 471-478). ამ განცხადებით სოფოკლე ადამიანური აზროვნების ძალაზე მიუთითებს, ამიტომაც აკრიტიკებს ტირესიასს, რომელმაც მიუხედავად დიდი ცოდნისა ვერ დაეხმარა თებეს მოქალაქეებს. მხოლოდ ცოდნა, ფაქტების დამახსოვრება და დაზეპირება ადამიანისთვის უნაყოფია. უმთავრესია ლოგიკა და აზროვნების უნარი, რის საშუალებითაც ხდება ყველაფერი შესაძლებელი. ფილიპ ველაკოტი აღნიშნავს : ²¹“The Sphinx’s riddle was not, after all, a very hard one;”. თუმცა მეცნიერი აღნიშნავს, რომ ზოგ ვერსიაში გამოცანის წარმომთქმელ არსებას ყოველთვის ერთი ხმა არ გააჩნია, რაც უფრო აბნევს გამოცანის წინაშე მდგომ ადამიანს და ამ არსებას უფრო მეტად მისტიურს ხდის.

²²ტერენსი აყალიბებს იმ ნაბიჯებს, რომელიც ოიდიპოსმა გაიარა, სანამ პასუხამდე მივიდოდა. ადამიანთა უმეტესობა გამოცანას ისმენს და ელის გონების განათებას, თუმცა ეს საერთოდ არ არის მასე. იგი გვთავაზობს ორ ვერსიას. პირველი ვერსიის თანახმად ოიდიპოსი წამიერად ხვდება პასუხს. მეორე თავად ოიდიპოსის სიტყვებს ეყრდნობა. როდესაც სფინქსმა წარმოსთქვა გამოცანა, იგი ელოდა, რომ პასუხი ბუნებრივად მოაფიქრდებდა, თუმცა არ მოხდა მასე და გადაწყვიტა გარკვეული მეთოდიკა შეემუშავებინა. იგი თავის გონებაში ამ სამყაროს ყველა არსებაზე დაიწყო ფიქრი და შედარების პრინციპით ცდილობდა ეპოვა პასუხი, თუმცა არც ერთი არ ეთანხმებოდა გამოცანაში აღწერილ დახასიათებას. შემდეგ კი იმ არსებაზე დაიწყო ფიქრი, რომლის წარმომადგენელი თავად იყო, ადამიანზე. მაგრამ ადამიანი, ხომ მთელი დღის განმავლობაში ორ ფეხზე დადის. ამის შემდეგ ოიდიპოსი იმასაც კი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია გამოცანას პასუხი არ ჰქონდეს. იგი დაფიქრების შემდეგ გადაწყვიტა მეტაფორული თვალსაზრისით განეხილა გამოცანა და ამგვარად ამოხსნა მან გამოცანა.

უცნაურია, რადგან არსად არ არის გადმოცემული გამოცანის ზუსტი ფორმა. ვერსიები პირვანდელი ფორმის სახეცვლილ ვარიანტებს წარმოადგენენ.

²¹ Vellacott 1964: 137.

²² Terence Rajivan Edward, University of Manchester, How did Oedipus solve the riddle of the Sphinx?

სავარაუდოდ სოფოკლეს მაყურებლისთვის გამოცანის შინაარსი, უკვე კარგად ცნობილი უნდა ყოფილიყო, რაც მიუთითებს მის პოპულარობაზე. ანტიკური საბერძნეთისთვის ზეპირსიტყვიერად გადმოცემული მითები ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამ მითებზე იგებოდა ტრაგედიებიც. სფინქსის გამოცანის პირვანდელი ფორმის მიგნება შეუძლებელია და ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ მხოლოდ შემორჩენილი ვარიანტები.

²³შემონახულია ორი ვერსია, ერთი აპოლოდოროსისა და მეორე ათენეოსის. აპოლოდოროსის ვერსია ამგვარად ჟღერს: „რა არის ის, რომელსაც გააჩნია ერთი ხმა, მაგრამ გარდაიქმნება ოთხფეხად, ორფეხად და სამფეხად“. ამ ვერსიაში, როგორც ვხედავთ დამატებულია ხმის ატრიბუტი. ათენეოსის ვერსია უფრო ვრცელია: „ არსება რომელსაც გააჩნია ერთი ხმა/ რომელსაც აქვს ოთხი ფეხი, ორი ფეხი და სამი ფეხი/ ასეთი ცვალებადი არცერთი სხვა არსება არ არის/ რომელიც მოძრაობს დედამიწაზე, ზღვასა და ცაში/ როდესაც იგი ოთხი ფეხითაა ვერ მოძრაობს/ მისი ძალა მაშინ არის ყველაზე ნაკლები და მოძრაობაც უფრო ზანტი“. გამოცანის ამგვარი ჩამოყალიბება უფრო ართულებს გამოცანის შინაარსს და ჩემი აზრით უფრო მეტად შეეფერება სფინქსის ამოუცნობ ბუნებას. ამის გარდა არსებობს კიდევ უფრო მოკლე ვერსია „რომელია ერთ ხმიანი არსება, რომელსაც ოთხი და ორი ფეხი აქვს“.

გამოცანის ფორმის სხვადასხვა ვერსიების არსებობა მიუთითებს მის სირთულეზე და ასევე პასუხების სიმრავლეზე, აზრი რომელიც გადმოცემულია ოიდიპოსისა და ტირესიასის საუბრისას. ტირესიასი აღიარებს, რომ გამოცანის ფორმა არ მიუთითებდა ერთ კონკრეტულ პასუხზე, რაც უფრო მეტად უსვამს ხაზს, ოიდიპოსის სიმამაცეზე ამოერჩია მხოლოდ ერთი პასუხი, ადამიანი. საბოლოოდ, თავად სოფოკლეს ტრაგედიის ბოლო ნაწილში ნახსენებია არა გამოცანა, არამედ გამოცანები, რაც ადასტურებს გამოცანის სხვადასხვა ვარიანტების არსებობას უკვე

²³ <https://www.pitt.edu/~edfloyd/Class1130/sphinx.html> -The riddle of the Sphinx- University of Pittsburgh

სოფოკლეს დროში. თუმცა თანამედროვე თარგმანების მიხედვით არსებობს დავა ამ პასაჟის თარგმანის პრობლემატიკაზე.

2. სფინქსი ინგლისურენოვან ლიტერატურაში

2.1 სფინქსი შექსპირთან

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სფინქსი ადამიანთა გონებაში მკვიდრდება, როგორც საიდუმლოების სიმბოლო, მაგრამ შუა საუკუნეების განმავლობაში როგორც სფინქსი, ასევე ბერძნული მითოლოგიაც და ტრადიციაც ასპარეზიდან იკარგება. ანტიკურობა კვლავ გამოდის ხელოვნებისა და ლიტერატურის ასპარეზზე აღორძინების პერიოდში, ანუ მე-IVX მე-XVI ს. რენესანსი იწყება იტალიიდან და ვრცელდება მთელს ევროპაში. ამ პერიოდის ძირითადი მახასიათებელი იყო ანტიკური წყაროების ხელახალი შესწავლა და შემდეგ ხელოვნებაში გამოყენება. რენესანსი სამყაროს ცენტრში კვლავ ადამიანს აყენებს და შესაბამისად, სამყაროც კიდევ ერთხელ ხდება ადამიანის გამოსაცნობი და გამოსაკვლევი.

სფინქსი, როგორც ბერძნული ტრადიციის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იქნებოდა უგუბელყოფილი რენესანსის მწერლების შემოქმედებაში. მისი სახე ნაბიჯ-ნაბიჯ შემოდის ლიტერატურაში და თანაც კვლავ დრამაში. იგი გხვდება მე-16 ს. ბოლოს შექსპირის დრამაში. ეს არის კომედია „ამაო გარჯა სიყვარულის“, რომლის შინაარსი გვახსენებს არისტოფანეს ლისისტრატეს. შექსპირის კომედიაში მამაკაცთა ჯგუფი გადაწყვეტს ქალებთან ურთიერთობაზე უარი განაცხადოს, რათა უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ საქმეს და განათლებას. ბუნებრივია, ამგვარი შეთანხმება მოგვაგონებს არისტოფანეს კომედიას, ლისისტრატეს, სადაც მიზნის მისაღწევად ქალთა ჯგუფი ქმრებთან სასიყვარული კავშირზე უარს განაცხადებენ. შექსპირის კომედიაში ბაირონი, ერთ-ერთი ამ კაცთა შორის საუბრობს სიყვარულისა და

ქალის ბუნებაზე.²⁴ იგი ქალის თვალეზში ხედავს ცოდნას, სიამეს და ბედნიერებას. იგი სიყვარულის ძალაზე საუბრობს და ადრის ამქვეყნიურ საოცრებას. სიყვარული ისეთი ტკბილია, რომ ბაქუსის ღვინოც კი უგემურია მის წინაშე. იგი სიყვარულს ასევე ადარებს სფინქსს „სიყვარული სფინქსით დახვეწილი და ცბიერია“ (W. Shakespear Love’s Labor’s lost, act 4, sc. 3. 343). ამ შემთხვევაში სფინქსი და სიყვარული საერთო მახასიათებლებს იზიარებენ. იგი არ კარგავს მის დიდებულ, დახვეწილ, მომაჯადოვებელ და ცბიერ სახეს. როგორც სფინქსია ამოუხსნელი და ძლიერი, ასეთია სიყვარულიც. დრამატურგი ტრადიციულ ვერსიას მიჰყვება და ინარჩუნებს სფინქსის თავდაპირველ სიმბოლიკას.

2.2 ედგარ ალან პოს „სფინქსი“

მიუხედავად იმისა, რომ აღორძინების პერიოდის ხელოვნება უხვად იყენებს ძველ ბერძნულ და რომაულ სიუჟეტებსა და პერსონაჟებს, სფინქსი ძალიან პოპულარული ხდება მე- XIX და მე-XX ს. ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურაში.

ახალი დროის პირველი მწერალი, რომელიც ნაწარმოებს ქმნის სფინქსის სახელის გამოყენებით არის ედგარ ალან პო. მან 1850 წ. დაწერა მოთხრობა, რომლის სათაური არის „სფინქსი“. პო ამ მოთხრობას ქმნის უკვე მე- XIX ს. შუა ხანებში და ბუნებრივია აირეკლავს იმ პერიოდის ლიტერატურული მიმდინარეობის მახასიათებლებს.²⁵ იგი წერს რომანტიზმის პერიოდში და

²⁴ W. Shakespear, Love’s Labor’s lost, Webster’s German Thesaurus edition, 2005.

²⁵ <https://www.cliffsnotes.com/literature/p/poes-short-stories/critical-essays/edgar-allan-poe-and-romanticism>-Cliffnotes, Edgar Alan Poe, Short stories, critical essays Edgar Alan Poe and Romanticism.

როგორც რომანტიზმისთვის არის დამახასიათებელი, გრძნობები და ემოციები წამოწეულია წინა პლანზე, ხოლო ლოგიკა და აზროვნება მეორეხარისხოვანი ხდება. მწერალის შემოქმედებაში სფინქსი არის წარმოდგენილი იმ პერიოდის ლიტერატურული მიმდინარეობის მახასიათებლების შესაბამისად და ასევე საზოგადოებრივი და ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით. რათა უკეთ გავიგოთ, თუ რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „სფინქსი“ საჭიროა მოკლედ განვიხილოთ შინაარსი.

²⁶მოთხრობა არის პირველ პირში და პერსონაჟი თავად ჰყვება თავის თავგადასავალს. მოთხრობის მთავარი გმირი მოგვითხრობს, რომ გადაწყვიტა ნათესავთან წასულიყო ორი კვირით, რათა ნიუ იორკს გასცლოდა, რადგან ქოლერას ეპიდემია მძვინვარებდა იმ პერიოდისთვის. ნათესავი მდინარესთან ახლოს ცხოვრობდა და ფანჯრიდან ძალიან კარგად მოჩანდა მთები და ტყე. მთავარი გმირი და მასპინძელი იგებენ, თუ როგორ ანადგურებს ქოლერა ნიუ იორკს და როგორც ართმევდა მათ ნაცნობ ადამიანებს სიცოცხლეს. მთავარი გმირი კი დროს ფანჯარასთან წიგნების კითხვაში ატარებს. ერთ დღესაც წიგნის კითხვის დროს მან ფანჯრიდან გაიხედა და ტყეში დაინახა საშინელი არსება, რომელსაც ფრთები, ხორთუმი და დიდი ბეწვი ჰქონდა. მისი კანი გველისას გავდა და ზომით გემის ხელა იქნებოდა. ყველაზე საშინელი კი მკერდზე გამოსახული სიკვდილის სიმბოლო იყო, ადამიანის თეთრი თავის ქალა. იგი ამაზრზენ ხმას გამოსცემდა, რომელიც ადამიანს სისხლს უყინავდა. გმირი შიშით შეპყრობილი უკან დაიხევს, მას ეშინია, რომ ეს არსება მას სიცოცხლეს გამოასალმებს. იგი ნათესავს არაფერს მოუყვება მომხდარის შესახებ, რადგან მისი რეაქციის ეშინია, თუმცა ორი დღის შემდეგ როდესაც ორივე მამაკაცი ერთ ოთახში მოხვდება, არსება კიდევ გამოჩნდება ფანჯარის

²⁶ The works of Edgar Alan Poe in five volumes, volume 5, A Penn State electronic Classics Series Publication, 2001 Pennsylvania University, pg. 16

მიღმა და მაშინ მთავარი პერსონაჟი თავს ვეღარ იკავებს და პანიკით სავსე ნათესავს უყვება ამ არსების შესახებ. მეგობარი ძალიან მშვიდად უსმენს, და იცინის კიდევაც, მონაყოლის მოსმენისას. საბოლოოდ, გაირკვევა, რომ არსება რომელსაც ფანჯრიდან ხედავდა სინამდვილეში ფანჯარაზე მჯდარი მწერი იყო. ამ მწერს ჰქვია სიკვდილის- თავიანი სფინქსი და ცნობილია იმ ამაზრზენი ხმისთვის რომელსაც გამოსცემს. მონსტრი, რომელიც გმირს აშინებდა სინამდვილეში ობობის ქსელში გახვეული, თითის ტოლა მწერი იყო, რომელიც ჩრჩილთა ოჯახს ეკუთვნის.

ამ მოთხრობით ედგარ ალან პო გადმოგვცემს, თუ რამხელა ძალა აქვს შიშს. სიკვდილის შიშით დაბრმავებული მთავარი გმირი ნიუ იუიორკიდან გარბის, რათა გაექცეს ავადმოყოფობას, თუმცა მას გონებაში ატარებს და სადაც არ უნდა წავიდეს სულ თან ახლავს. ამოუცნობი და საშიში არსება, საბოლოოდ, გადაიქცა სასაცილო ამბად. მწერალი ამ მოთხრობით ადამიანის ფსიქოლოგიას და გონებას აგვიღწერს. საგნებს და მოვლენებს იმხელა ძალა აქვს, რამდენაც ადამიანები ანიჭებენ. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა არის სტატკური ხასიათის და მასში არ არის წარმოდგენილი მრავალფეროვანი მოქმედება, ძალიან ოსტატურად არის გადმოცემული ადამიანის შინაგან სამყაროში არსებული ქაოსი. ლოგიკური აზროვნების წარმომადგენლად მხოლოდ მისი ნათესავი გვევლინება, რომელიც გადაარჩენს შიშით დაბრმავებულ გმირს.

ამ შემთხვევაში საინტერესოა მწერალის მიერ სათაურისა და მწერის სახეობის არჩევანი. სფინქსი ამ მოთხრობაში გამოყენებულია ორმაგი ნნიშვნელობით, იგი არის საშინელი სიკვდილის მომტანი არსება, ქოლერის სიმბოლო, რომელიც ოიდიპოსის მეტოქე სფინქსს გვახსენებს, მაგრამ ამავდროულად არის მწერიც. ცნობილია ის ფაქტი, რომ სფინქსი ანტიკურობაში შესაძლოა

განასახიერებდა ჭირს, რომელიც ანადგურებდა თებეს და სწორედ ამ თვალსაზრისით არის გამოყენებული სფინქსის სახე პოს მოთხრობაში. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სფინქსი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული სიკვდილთან, თანამედროვე ეპოქაშიც კი, რომ ჩრჩილს რომლის ზურგზე შეგვიძლია შევამჩნიოთ ადამიანის თეთრი ქალა, როგორც საკვდილის სიმბოლო, სფინქსი ეწოდა²⁷.

2.3 რაღფ უაღდო ემერსონის „სფინქსი“

²⁸მე- XIX ს. ამერიკელი მწერლები ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ სფინქსით. სფინქსის ორმაგი წარმოშობა, ეგვიპტური და ბერძნული, მას ორმაგად საინტერესოს და იდუმალს ხდიდა. შედარებით, ახლად შექმნილი ბუკოლიკური ამერიკული საზოგადოება ძალიან ცდილობდა მოეპოვებინა მაღალი და საშუალო კლასის ევროპელებისა და ამერიკელების ნაირი კულტურული რესპექტაბელურობა, რომელიც უკავშირდებოდა საბერძნეთისა და რომის კულტურის ცოდნასა და იმიტაციას. უფრო მეტიც, ამ პერიოდში ანგლო-ამერიკულმა ინტერესმა ეგვიპტეს მიმართ პიკს მიაღწია, რადგან ეს არის ნაპოლეონის ექსპედიციებისა და გიზას დიდი სფინქსის გამოკვლევის შემდგომი პერიოდი.

რაღფ უაღდო ემერსონის პოემა „სფინქსი“ პირველად გამოქვეყნდა 1841 წ. და დიდი ალბათობით, ედგარ ალან პოს და სხვა მწერლების შემოქმედების ინსპირაციით შექმნა ეს პოემა. ეს არის ფილოსოფიური პოემა, რომელიც ეხება ცხოვრების არსს.

²⁷ იხ. დანართი, სურათი 1.

²⁸ The Threshold Poem, Emerson, and “The Sphinx”, Sandra Morris, American Literature, Vol. 69, No. (Sep. 1997), pp. 547-570, Duke University Press

პოეტს აინტერესებს, თუ რა არის სფინქსის გამოცანა, რა არის მისი პასუხი და ვის შეუძლია ამოხსნას იგი.

პოემა იწყება სფინქსით, იგი მოთენთილი ზის და ჩაფიქრებული გადაჰყურებს სამყაროს და ამბობს: “Who will tell me my secret,/ The ages have kept?/ I awaited the seer”, “ვინ მეტყვის ჩემს საიდუმლოს, / რომელიც საუკუნეებმა შეინახა? / მე ველოდებოდი წინასწარმეტყველს“. როგორც ანტიკურ ტრადიციასა და ტრაგედიაში, ისე ემერსონის პოემაშიც სფინქსის გამოცანა არ არის ნათლად წარმოდგენილი და ჩამოყალიბებული. იგი ორ კითხვას სვამს და მაქედან ორივე იწყება სიტყვა „ვინ“-ით. პირველი არის ²⁹ „ვინ მეტყვის ჩემს საიდუმლოს?“, თავად სფინქიც არ არის დარწმუნებული, თუ რას წარმოადგენს მისი გამოცანა და რა პასუხი უნდა გასცეს მას, ან უბრალოდ, დრომ დაავიწყა მას ბოძებული ცოდნა, ხოლო მეორე კითხვა ეხება სწორედ ამ ცოდნის გადამცემს „ვინ იყო ნეტა ის ვინც ცოდნა მიბოძა?“.

პოემის ენა ხდება ფრაგმენტული და კომპლექსური, იგი თითქოს გვახსენებს ტრანსში მყოფ წინასწარმეტყველს, რომლის სიტყვები მნიშვნელოვანი, გაუგებარი და გასაშიფრია, “The fate of the man-child /The meaning of man; /Known fruit of the unknown; /Daedalian plan;/Out of sleeping a waking;/Out of waking a sleep;/Life death overtaking;/ Deep underneath deep?”, “კაცი-ბავშვის ბედისწერა/ კაცის არსი;/ ამოუცნობის ცნობილი ხილი;/ დედალოსისეული გეგმა/ ძილის გარეშე გაღვიძება/ გაღვიძების გარეშე ძილი;/ ცხოვრება რომელიც სიკვდილს ამარცხებს/ ღრმაზე უფრო ღრმად?“. ამგვარი კომპლექსური ენა შეეფერება სფინქსის კომპლექსურ ბუნებას. სფინქსი არის დიდი ცოდნის არსება რადგან იგი საუკუნეები აკვირდება სამყაროს და ამ ყველაფერს პოემაში გვიყვება. იგი ლამაზ, პაციფისტურ, სურათებს, ბუნების სცენებს გადმოქცევს, თუ როგორი სიმშვიდით იკვებებიან სპილოები, თუ როგორ შრიალებს ფოთლები, როგორ მოძრაობს ოკეანე და როგორ გალობენ ჩიტები. შემდეგ გადადის ადამიანთა მოდგმის აღწერაზეც. იგი გადმოქცევს ჩვილის მშვენიერ

²⁹ Prose and poetry, selected and edited by Joel Porte and Sandra Morris, a Norton Critical edition, pp. 429.

სურათს, რომელიც ბედნიერებაში არის ჩაძირული, რომლის სათამაშო არის მზე და მასში ბრწყინავს მთელი არსებობის მშვიდობიანობა, თუმცა იდილიური სცენებიდან პოეტი გადადის უფრო ბნელ საკითხებზე. სფინქსი გვიყვება ადამიანზე, რომელიც გარბის იმალება, იტყუება, იპარავს, ავად ხდება, მელანქოლიაში იძირება და საბოლოოდ, “He poisons the ground”, „იგი ნიდაგს წამლის“. სფინქსი აგრძელებს საუბარს კითხვების მეშვეობით. ეს კითხვები მომდინარეობს დედისგან, რომელსაც აინტერესებს ვინ აიღო ჩვილის ჭიქა, ვინ მოწამლა პური და საბოლოოდ, ვინ შეცვალა კაცი- ბავშვის აზროვნება. ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. სფინქსი ადამიანის განვითარების ეტაპებს ჰყვება. ჩვენ ვიბადებით ჩვილები და უმანკოები, ბუნებასავით ლამაზები, ხოლო შემდეგ გამოცდილებას ვიძენთ და ეს გამოცდილება ადამიანს ბუნებისგან აშორებს, იწვევს მის მორალურ დეგრადაციას და მერე ადამიანი ნიდაგს წამლის, მის გარშემო არსებულ ბუნებას. სფინქსი ამ შემთხვევაში არის ცოდნის სიმბოლო და პოეტი შესთხოვს მას უმდეროს ეს ამბები, რადგან მისი ხმა პოეტისთვის უტკბესია. მის მონაყოლს უწოდებს „დროის სურათებს“, “Pictures of time”. იგი მოგვაგონებს პირამიდების წინ, გორაკზე აგებული სფინქსს, რომელიც უძრავი საუკუნეების განმავლობაში უცქერის ქვეყნიერებას.

ემერსონის ამგვარი სურათები, ასევე გვახსენებს უილიამ ბლეიკის შემოქმედებას „Songs of innocence” და “songs of experience”. რომანტიზმის წარმომადგენელი ბლეიკი თავისი ლექსების მეშვეობით უნდოდა ეჩვენებინა, თუ როგორ იხრწნება ადამიანი გამოცდილების მეშვეობით. გამოცდილებას კი ბუნებისგან შორს მიჰყავს ადამიანი და თუ ადამიანი ბუნებისგან შორს არის იგი თავად ბედნიერებისგან და ღმერთისგან შორს არის. შესაბამისად, იგი ხდება მომწამლავი, გამანადგურებელი არსება.

ემერსონის შემთხვევაშიც სფინქსი, ტრადიციისგან განსხვავებით, ადამიანისთვის არ წარმოადგენ საფრთხეს, იგი უბრალოდ არის ამ სამყაროს ანარეკლი, სარკე რომელშიც ადამიანი ხედავს თავის ისტორიას. საბოლოოდ კი, მასთან მოსაუბრე პოეტი

გაუმხელს, რომ კითხვაზე პასუხს თავად სფინქსი წარმოადგენს და როგორც ძველი ბერძნული სფინქსი, იგიც გაქრება, თუმცა ამ შემთხვევაში იგი გახარებული უერთდება ბუნებას, ცეცხლისა, ზღვისა, ჰაერისა და სხვა ელემენტების ნაწილი ხდება და სანამ საბოლოოდ გაქრება ამბობს: “Who telleth one of my meanings,/ Is master of all I am.”, “ის ვინც ამოიცნობს ჩემში ერთის არსს/ რაც ვარ იმ ყველაფრის მეფე გახდება.“

საბოლოოდ, ბევრი შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რისი თქმა სურდა პოეტს და რას წარმოადგენს სფინქსი მის შემოქმედებაში, მაგრამ ყველაზე კარგად თავად პოეტი აგვიხსნის: “I have often been asked the meaning of the ‘Sphinx.’ It is this,—The perception of identity unites all things and explains one by another, and the most rare and strange is equally facile as the most common. But if the mind live only in particulars, and see only differences (wanting the power to see the whole—all in each), then the world addresses to this mind a question it cannot answer, and each new fact tears it in pieces, and it is vanquished by the distracting variety.”, „ძალიან ხშირად მეკითხებიან, თუ რა არის „სფინქსის“ არსი. ეს არის ის- რომ იდენტობის აღქმა აერთიანებს ყველაფერს და ხსნის მათ ერთმანეთის მეშვეობით, და ყველაზე უშვიათიც და უცნაურიც ისევე მარტივია, როგორც ყველაზე ჩვეულებრივი. მაგრამ თუ გონებამ მხოლოდ კონკრეტული დაინახა და მხოლოდ განსხვავებები ეძება (იმ სურვილით რომ მთლიანობა დაინახოს- მთლიანობა თითოეულში), მაშინ სამყარო ისეთ კითხვად წარმოგვიდგება, რომ გონება ვერ უპასუხებს, და თითოეული ახალი ფაქტი მას ნაწილებად შლის და ნადგურდება დამაბნეველ მრავალფეროვნებით.“ ჩემი აზრით, პოეტისთვის სფინქსი არის ცოდნის სიმბოლო, ხოლო ცოდნის არსი მდგომარეობს საგანთა შორის რელატიურ ბუნებაში. ჩვენ ეს სამყარო ცალცალკე კი არ უნდა შევისწავლოთ, არამედ თითოეული საგანი უნდა განვიხილოთ სხვა საგნებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში პოემაც და სფინქსის სახეც ღრმად ფილოსოფიურია და მოკლებული ყოველგვარ აგრესიულ ან უარყოფით მახასიათებელს.

2.4 ოსკარ უაილდის „სფინქსი“

მეორე ამერიკელი მწერალი რომელიც ანტიკური საბერძნეთის უდიდესი მოყვარული³⁰ იყო, არის ოსკარ უაილდი. იგი კლასიკური ფილოლოგიის სტუდენტი იყო და რა საკვირველია ბერძნულმა ლიტერატურამ დიდი ზეგავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. ³¹მან 1870 წელს გადაწყვიტა ლექციების მაგივრად საბერძნეთსა და იტალიაში ემოგზაურა, რათა ახლოდან შეესწავლა ანტიკური ცივილიზაციის სავანეები. უაილდი საბერძნეთის კუნძულებისა, ზღვებისა და აქეოლოგიური სილამაზითა და დიდებით მოიხიბლა. მის შემოქმედებას ამგვარად ახასიათებს ესთეტიზმი, მე-XIX ს. მოძრაობა, რომელიც ხელოვნებაში წინა პლანზე აყენებდა მშვენიერებას, ხოლო საბერძნეთი და ბერძენი ხალხი უაილდისთვის მშვენიერების მაგალითს წარმოადგენდა, თუმცა მისი შემოქმედება არ წარმოადგენს მხოლოდ მშვენიერი სურათების შექმნას და გადმოცემას. მისი თხზულებები საოცრად ინოვაციური და კომპლექსურია. ანტიკური საბერძნეთის მითოლოგიურ საფუძველზე იგი ქმნის ახალ იდეოლოგიას, რომელიც შეესაბამება მე-XIX ს მე- XX ს სულისკვეთებას და გამოხატავს იმ ცვლილებებს რომლებიც ხდება ადამიანის ფსიქიკაში. „ოსკარ უაილდის ესთეტიზმი იყო დემონსტრაცია, გვიან ვიქტორიანული პრინციპების საწინააღმდეგოდ წარმართული ბრძოლა“³².

უაილდიც და პოც არიან იმ საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იაზრებენ საზოგადოებაში და მეცნიერებაში მომხარ ცვლილებებს. ადამიანი რენესანსის პერიოდში კვლავ მოხვდა სამყაროს ცენტრში. მან დაიწყო ამ სამყაროს გამოკვლევა და საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების იწამა. მე-IVX ს. მოყოლობებით ადამიანმა დიდ წარმატებას მიაღწია ყველა სფეროში, თითქოს

³⁰ იხ. დანართი სურათი 2.

³¹ Oscar Wilde in Greece: Topography and the Hellenist Imagination, Iain Ross, Springer Science and Business Media B.V. 2009

³² Oscar Wilde and the Eclipse of Darwinism, Aestheticism, Degeneration, and Moral Reaction in Late-Victorian Ideology, *Andrew R. Morris*

ამოხსნა ამ ქვეყნის საიდუმლოებები: ჩამოყალიბდა დარვინის თეორია, სამყარო აღმოჩნდა ჰელიოცენტრული, განვითარდა ფიზიკა, ქიმია, მედიცინა, ტექნოლოგია და რაც უფრო მეტად ვითარდება ადამიანი და რაც უფრო მეტ ინფორმაციას იღებს ამ სამყაროს შესახებ, მით უფრო დაკარგულად და დაბნეულად გრძნობს თავს. ამგვარმა ცვლილებებმა გამოიწვიეს ადამიანთა მორალური და პნევმატური დეგენერაცია. ამ მოძრაობას ეწოდა დეკადანსი და მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან decadentia. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აისახებოდა ხელოვნებაზეც და ლიტერატურაზეც. უაღდის შემოქმედებამ, რომელსაც ახასიათებს ესთეტიზმი და დეკადანტური ელემენტები, დიდი ზეგავლენა იქონია ასევე ბერძენ ავტორებზეც, რომელსაც დაწვრილებით განვიხილავთ მომდევნო თავში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე- XIX და მე- XX ს. ანტიკურობა კვლავ პოპულარული და აქტუალური რჩება, თუმცა ხელოვანები უკვე მას განიხილავენ სხვა ასპექტებიდან. ანტიკურ ტრადიციას გამოიყენებენ მათ შემოქმედებაში, მაგრამ მას სძენენ, ახლებურ მნიშვნელობას, ამისი ნათელი მაგალითი არის უაღდის ორი თხზულება. პირველი არის პოემა, რომლის სათაური არის „სფინქსი“, ხოლო მეორე არის მოთხრობა, რომლის სათაური არის „სფინქსი გამოცანის გარეშე“.

მან პირველად დაწერა მოთხრობა „სფინქსი გამოცანის გარეშე“ 1887 წ. სათაურიდანვე ვხვდებით, რომ ამ მოთხრობაში სფინქსი არატრადიციული სახით არის გამოყენებული. სფინქსი გვევლინება გამოცანის გარეშე, ანუ მისი მთავარი განმსაზღვრელის გარეშე, რაც ანტიკურობაში ნიშნავდა მის დალუპვას.

მოთხრობა იწყება თავად მთავარი მოთხრობელისა (დიდი ალბათობით ავტორის) და მის მეგობარს შორის საუბრით. ჯერალდი ავტორს უყვება, თუ როგორ დამწუხრებულია იმით, რომ ქალების არ ესმის, ხოლო მეგობარი მას პასუხობს

„ქალები იმიტომ არსებობენ, რომ ისინი გვიყვარდეს და არა გვესმოდეს მათი“³³. დიდი ალბათობით, მთხრობელი გამოხატავს ავტორის მოსაზრებებს. ჯერალდი აგრძელებს და მეგობარს უზიარებს თავის გულისტკივილს. მას აინეტერესებს ქალი, რომელიც გამოცანას წარმოადგენს, იგი ანუ ლედი ალტროი იმის გარდა, რომ ულამაზესია ჯერალდის ყურადღებას სხვა რამის გამოც იპყრობს „მის სახეზე ეტყობოდა, რომ საიდუმლოს ატარებს, თუმცა არ ვიცი ეს საიდუმლო კარგია თუ ცუდი. მისი სახის სილამაზე ათასი გამოცანისგან შექმნილ სილამაზეს ჰგავდა, სილამაზე, რომელიც იყო სულიერი და არა პლასტიკური და უდრეკი“³⁴. მწერალი მთავარ თემად აქცევს საიდუმლოს, გამოცანას რომელიც ჯერალდს სურს, რომ ამოხსნას. მოთხრობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვევლინება თანამედროვე სფინქსი და ოიდიპოსი, თუმცა სხვა სახელებით. ჩვენი თანამედროვე სფინქსი, ლედი ალტროი არის საოცარი სილამაზის არსება, რომელიც აჯადოვებს ჯერალდს. იგი მუდამ მუსიკალური ხმით საუბრობს, ნაზად და მოხერხებულად მოძრაობს, თუმცა სახეზე ყოველთვის საიდუმლოების სიმძიმე აწევს. ჯერალდი ჰყვება, თუ როგორი სიფრთხილით მიმართავს მას ლედი ალტროი, ყოველთვის დაბალი ხმით, და თითქოს ვიღაც უთვალთვალებთ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქვრივი იყო და არ ჰყავდა მეუღლე ჯერალდს აფრთხილებდა, რომ წერილები სხვის სახელზე მოეწერა და მიზეზს მერე აუხსნიდა. ჯერალდს არ ესმის, თუ რა შეიძლება იყოს ამ ქალის საიდუმლო. დამაბულობა პიკს აღწევს, როდესაც ჯერალდი ლედი ალტროის ქუჩაში წააწყდება. იგი ფრთხილად დადის, თითქოს ვიღაცას ემალება. ჯერალდი მიჰყვება უკან, რადგან სურს სიმართლე გაიგოს. ლედი ალტროი ადის, რომელიც უცხო სახლში. როდესაც მამაკაცმა მას ჰკითხა, თუ რატომ ავიდა იმ სახლში ქალმა არ უპასუხა „არაფერი მაქვს სათქმელი“ უპასუხა ლედი ალტროიმ. მამაკაცი, ლორდ მურჩინსონი ტოვებს ლედი ალტროის და გარკვეული დროის მერე შეიტყობს მის გარდაცვალებას. მამაკაცს არ ასვენებს იმაზე ფიქრი, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ამ

³³ Oscar Wilde, «Complete shorter fiction» (1854-1900), Oxford: Oxford university press, 1980, გვ. 54

³⁴ Oscar Wilde, «Complete shorter fiction» (1854-1900), Oxford: Oxford university press, 1980, გვ. 71

ქალის საიდუმლო და გადაწყვეტს გამოიკვლიოს. მიდის იმ სახლში, სადაც ლედი ალტროი ადიოდა და მეპატრონეს დაელაპარაკება. ლედი ალტროი ქირაობდა ამ ოთახს, სადაც მხოლოდ ჩაის დასალევად მიდიოდა. ლორდ მურჩინსონი აღშფოთებული უყვება მეგობარს ამ კურიოზის შესახებ. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ქალს, რომელსაც სახეზე ათასი საიდუმლოს სიმძიმე ეტყობოდა, არანაირი საიდუმლო არ ჰქონდა, „ლედი ალტროი იყო უბრალოდ ქალი, რომელსაც საიდუმლოების მანია ჰქონდა. იგი ამ ოთახს ქირაობდა მხოლოდ და მხოლოდ იმ სიამოვნებისთვის, რომ იქ ჩუმად პირბადე ჩამოფარებული მისულიყო და წარმოიდგენდა, რომ რომელიღაც ზღაპრის გმირია. მას საიდუმლოების უზომო სიყვარული ჰქონდა, მაგრამ იგი სინამდვილეში უბრალოდ სფინქსი იყო გამოცანის გარეშე“.

ავტორი ძალიან მარტივად ხსნის ამ ქალის საქციელს. იგი ცინიკურია ზოგადად ქალების მიმართ და ფიქრობს, რომ ეს ყველა ქალს ახასიათებს. სფინქსის სახელი კი აქ სრულიად ირონიულად გამოიყენება. უაილდი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სფინქსის ძალის წყარო არის თავად გამოცანა. მიუხედავად, ამ განცხადებისა რომელიც ძალიან ლოგიკურად ჟღერს, ანუ რადგან ლორდ მურჩინსონმა თვითონვე დაადასტურა, რომ ამ ქალს დასამალი არაფერი ჰქონდა, უაილდი არ ასრულებს ასე მოთხრობას. იგი ხელში იღებს ქალის სურათს აკვირდება მას და ამბობს: „მაინტერესებს ნეტავ ხომ არ....“. ავტორი კვლავ ტოვებს ეჭვს მკითხველში და საშუალებას აძლევს თვითონ გადაწყვიტოს ამ ქალის საკითხი, თუმცა ეს ეჭვი ავტორს მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა, რაც სურათს შეხედა. უაილდი, როგორც ესთეტიზმის წარმომადგენელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშვენიერებას და ზოგადად ყველაფრის გარეგნულ მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის სფინქსი საიდუმლოს გარეშე, რომელიც თან დაილუპა, როგორც ანტიკურობის სფინქსი, მისი სილამაზე წარმოადგენდა საიდუმლოების წყაროს.

ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ბევრ ადგილას აღნიშნავს ამ ქალის სილამაზეს, საიდუმლოებით მოცულ გარეგნობას, მაინც მკითხველს ხელოვნურად შექმნილი ინტრიგის შეგრძნებას უტოვებს. თავად ქალის საქციელი, რომელიც აღნიშნავს ხშირად, რომ არსებობს კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ იკცევა მასე, მკითხველს უქმნის იმის მოლოდინს, რომ ამ საიდუმლოს გაამხელს, ხოლო იმის დასტური, რომ საიდუმლო არ არსებობს არის თავად ქალის დუმილი როდესაც ლორდ მურჩინსონი პასუხს მოსთხოვს. პირადად ვთვლი, რომ „სფინქსი საიდუმლოს გარეშე“ ასახავს ახალ სამწუხარო რეალობას. ადამიანი რენესანსის ეპოქიდან სამყაროს ცენტრში ექცევა, ახლა კი ნელ ნელა იცვლება ეს ვითარება. იქმნება დიდი ქალაქები, იზრდება მოსახლეობის რაოდენობა და მცირდება ადამიანთა თავდაჯერებულობა. რაც უფრო დიდია საზოგადოება, რომელშიც ადამიანი ტრიალებს მით უფრო ნაკლებად მნიშვნელოვნად გრძნობს თავს. იგი აღარ არის ადამის და ევას, ღმერთის შვილების შთამომავალი, არამედ აღმოჩნდა, რომ მაიმუნის შთამომავალია. დედამიწის გარშემო კი არ ტრიალებს მზე არამედ დედამიწა ტრიალებს მის გარშემო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლოა დედამიწა ამ სამყაროში არ იყოს უნიკალური, ამგვარად იგი გრძნობს თუ რა უმნიშვნელოა ამ ქვეყანაზე და სურს, რომ გახდეს განსაკუთრებული. სწორედ, ამ სურვილის გამომხატველია ლედი ალტროი, რომელიც ხელოვნურად ცდილობს გახდეს განსაკუთრებული სფინქსის მსგავსი და როდესაც სიმართლე მჟღავნდება იგი იღუპება. თუმცა, მოთხრობის დასასრული მკითხველს აძლევს იმის თავისუფლებას თვითონ გადაწყვიტოს რა უფრო მეტად არის დასაჯერებელი.

მისი მეორე თხზულება არის პოემა „სფინქსი“, რომელიც 1894 წ. დაწერა.

სათაურიდანვე ვხვდებით, რომ პოემის მთავარი გმირი არის სფინქსი. არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ ოსკარ უაილდი სფინქსს მეორედ უძღვნის ნაწარმოებს.

³⁵ვიქტორიანულ ეპოქაში ხელოვანებისთვის და ზოგადად დიდი ბრიტანეთის საზოგადოებისთვის ეგვიპტური კულტურა ძალიან პოპულარული იყო, ეს იმიტომ, რომ არსებობდა მოსაზრება, რომ ეგვიპტე იყო ანტიკურობის დიდი ბრიტანეთი, მაღალ დონეზე მდგომი, განვითარებული ცივილიზაციის სამშობლო, რომელიც ძალიან ადვილად იმპყრობდა გარშემო არსებულ მიწებს.

³⁶პოემაში სფინქსი, მოთხრობისგან განსხვავებით, მრავალასპექტიან და კომპლექსურ, დიდებულ არსებად გვევლინება. მისი სამშობლო არის ეგვიპტე, თუმცა იგი ასევე ბერძნული სფინქსის მახასიათებლების მატარებელია. პოემის სფინქსი არის მოზაიკა, რომელიც ამქვეყნიურ გამოცდილებას ირეკლავს და თან ატარებს. პოეტი რიტორიკული კითხვების მეშვეობით გვაწვდის ინფორმაციას სფინქსის განვლილი გზის შესახებ. იგი ეგვიპტედან იწყებს და ცხოვრების მანძილზე ხვდება ღმერთებს, უცნაურ არსებებს, აღწევს ქრისტიანულ ეპოქამდე და ახლა კი იგი პოეტის წინაშე, ბნელ ოთახში დგას.

გარემო, რომელშიც წარმოდგენილია სფინქსი სრულიად განსხვავდება ანტიკური ტრადიციისგან. იგი ღამის სიჩუმეში, სრულიად მდუმარე და მშვიდი გვევლინება “In a dim corner of my room/ For longer than my fancy thinks,/ A beautiful and silent Sphinx” „ჩემი ოთახის ბნელ კუთხეში/ იმაზე დიდი ხანი ვიდრე ჩემი უცნაური ფიქრები გრძელდება/ დგას ღამაში და მდუმარე სფინქსი“, თუმცა ეს მკითხველში შესაძლოა უფრო მეტ შიშს იწვევდეს ვიდრე ანტიკურობის ძვლებით მოფენილ გამოქვაბულში მძვინვარე სფინქსი. “Half woman and half animal, / Come forth my lovely languorous Sphinx”, „ნახევრად ქალი და ნახევრად ცხოველი/ მოდი ახლოს ჩემო მშვენიერო დაღლილო სფინქს“, სფინქსი არ აშინებს პოეტს, პირიქით იგი მოხიბლულია მისი

³⁵ Oscar Wilde's “The Sphinx” and Victorian Egyptomania, Kenna Hawes '13, [English 60](#), Brown University 2010, article.

³⁶ Oscar Wilde, The Sphinx, University of Adelaide, e-books, 2015.

გარეგნობით და აინტერესებს ის ამბები რომელიც სფინქსს აქვს მოსაყოლი. მას დაღლილს უწოდებს, რადგან მას ამძიმებს ამდენწლიანი გამოცდილება.

როდესაც პოეტი უკვე გადადის პოემის მეორე ეტაპზე, იგი აქცენტს აკეთებს სფინქსის გამოცდილებაზე, თუმცა ეს გამოცდილება ძირითადად უკავშირდება სფინქსის სასიყვარული თავგადასავლებს. წინა პლანზე არის წამოწეული სფინქსის ქალური მხარე და თითქოს ხაზგასმულია სფინქსის ავხორცი ბუნება. იგი არის საშიში დამლუპველი და მომაჯადოვებელი არსება, რომლის წინაშე ეგვიპტეს ღმერთებიც კი (ანუბისი, ამონი, ჰოროსი) სათამაშოები ხდებიან: “Your lovers are not dead, I know,/ And will rise up and/ hear thy voice/ And clash their symbols and rejoice/ And run to kiss your mouth”, “შენი მეწყვილეები კვლავ ცოცხლები არიან, ვიცი/ ისინი კიდევ აღდგებიან /შენს ხმას გაიგონებენ/ თავიანთ სიმბოლოებს აახმაურებენ და იხარებენ/ და გამოექანებიან შენი ტუჩების დასაკოცნად“. ოსკარ უაილდის სფინქსს არის ქალთა სქესის წარმომადგენელი, როგორც პოემაში ისე მოთხრობაშიც, ორივე შემთხვევაში სფინქსი გვევლინება საიდუმლოებით მოცული, უმშვენირესი, მომაჯადოვებელი და კაცების მანიპულატორი, თუმცა პოემაში ეს მახასიატებელი ბევრად უფრო ხაზგასმულია “And take a tiger for your mate,/ Whose amber sides are flecked with black,/ And ride upon his gilded back/ In triumph through the Theban gate,/ And toy with him in amorous jests,/ And when he turns and snarls and gnaws,/ Oh smite him with your jasper claws/ And bruise him with your agate breasts!”, „და შენს მეწყვილედ ვეფხვი აირჩიე/ რომლის ქარვისფერი გვერდები შავით არის დალაქავებული/ და ამხედრებული მის მოოქროვილ ზურზე/ გამარჯვებული შეაჭენე თებეს ჭიშკარში/ და ეთამაშე მას სასიყვარულო მოტყუებით/ და როდესაც მობრუნდება და აიფხორება და იღრინება/ შენი წვეტიანი ბრჭყალებით დაარტყი/ და შენი მკვრივი მკერდით დააგდე“. მთელი პოემის განმავლობაში იგი არის ეგვიპტედან წარმოშობილი სფინქსი, რომელიც შვევა გამარჯვებული თებეში. როგორც ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ისე აქაც, მისი ყველაზე ძლიერი და საშიში მახასიატებელი არის მისი ხმა, რომელიც წყვდიადია მსმენელისთვის “Your pulse makes poisonous melodies,/ And your black throat is like the

hole”, „შენი გულისცემა შხამიან მელოდიებს ქმნის/ და შენი ყელი არის შავი ხვრელი“. იგი აერთიანებს ბერძნულსა და ეგვიპტურ ელემენტებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც უაილდი არაორდინალურად ასრულებს თავის ლექსს.

“False Sphinx! False Sphinx! By reedy Styx, / Old Charon, leaning on his oar. / Waits for my coin. Go thou before/ And leave me to my crucifix, / Whose pallid/ burden, sick with pain, // Watches the world with wearied eyes. /And weeps for every soul that dies, / And weep for every soul in vain!!”, “ცრუ სფინქს! ცრუ სფინქს! ლერწამიანმოდებულ სტიქსთან,/ მოხუცებული ქარონი, რომელიც საკუთარ ნიჩაბს ეყრდნობა. /ელოდება ჩემს ხურდას. წადი შენ/ და დამტოვე ჯვარზე გაკრული/ და ვისი ფერმკრთალი/ დამძიმებული, ტკვივილ ნატანჯი// დაღლილი თვალები აკვირდება ამ ქვეყანას./ და ტირის ყველა იმ სულისთვის რომელიც კვდება/ და ტირის ყველა სასოწარკვეთილ სულზე.“ საბოლოოდ, უაილდის სფინქსი კვლავ აღმოჩნდება ცრუ, როგორც მოთხრობაში, თუმცა ამ შემთხვევაში იგი ქარონის სახით გვევლინება, რომელიც ელის პოეტის ხურდას, რათა სტიქსის მდინარეზე გაიყვანოს მკვდრების სამყაროში.

უაილდის ამ პოემაში კვლავ ვხედავთ პესიმიზმს, რაც რა თქმა უნდა, დამახასიათებელია დეკადანსის მიმდევრებისთვის. ორივე შემთხვევაში მკითხველი რჩება უცნაური ცუდი შეგრძნების ამარა. მის შემოქმედებაში დომინირებს სინამდვილესა და მოჩვენებითის შორის თამაში, საიდუმლოებრივი ატმოსფერო, მორალური დეგრადაცია და ქალის ცბიერი, ეშმაკური და უარყოფითი სახე. შემდეგ, როდესაც გადავალთ თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაზე შევამჩნევთ, რომ სეფერისიც უაილდის მსგავსად წარმოაჩენს ქალთა სახეს სფინქსის სახელის გამოყენებით.

3. სფინქსის სახე თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში

საბერძნეთისთვის მე-XIX-XX ს. საკმაოდ რთული პერიოდი იყო. მე- XIX ს. საბერძნეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, აღიარდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და განიცადა უამრავი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური ცვლილება. ყველაზე დიდ სირთულეს კი ის წარმოადგენდა, რომ ახალ დამოუკიდებელ ერს ესაჭიროებოდა გამაერთიანებელი ელემენტები, რომლის საფუძველზე გაბრწყინდებოდა სახელმწიფო. ბერძენი ხალხი, თურქული კონტროლის ქვეშ ოთხასი წელიწადი იმყოფებოდა და შესაბამისად შეიქმნა ბერძენი ხალხის იდენტობის საკითხი. ვინ არიან ბერძენები? რას უნდა წარმოადგენდეს ახლად განთავისუფლებული სახელმწიფო? რა აერთიანებს ბერძენ ხალხს? რა საკვირველია, ეს საკითხი ერთ დამეში ვერ იქნებოდა გადაწყვეტილი და როგორც იყო მოსალოდნელი, ბერძენი ხალხი გააწვალა მე-XIX ს., თუმცა მე-XX ს. კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა, რადგან ახლად განთავისუფლებულმა სახელმწიფომ მიიღო მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში, განიცადა მცირე აზიის განადგურება, რომლის შედეგადაც საბერძნეთმა ათასობით ემიგრანტი მიიღო, შემდეგ კი, 1939- 1945 წ. სამოქალაქო ომმა, სახელმწიფო გადატრილებამ და მეორე მსოფლიო ომმა ბერძენთა საზოგადოება კიდევ უფრო რთულ ვითარებაში ჩააგდო. რა საკვირველია, ლიტერატურა ამ ყველაფერს გვერდს ვერ აუვლიდა.

უპირველეს ყოვლისა ბერძენთა გამართიენებელ ელემენტს წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, ანტიკურობა, ანტიკური ბერძნული კულტურა და განცდა, რომ თითოეულ ბერძენს გააჩნდა ერთი საერთო წინაპარი. შესაბამისად, ანტიკური სიუჟეტები დომინირებს თანამედროვე ბერძენთა შემოქმედებაში, და რომელი ფიგურა წარმოადგენს ყველაზე უკეთ საიდუმლობას, კომპლექსურობას, ცოდნას, შიშს, თუ არა სფინქსი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სვინქსის მითმა დიდი ინტერესი გამოიწვია მე- XIX-XX ს. მწერლებში, და კიდევ უფრო მეტად მოდერნიზმის წარმომადგენლებში: „მე- XIX ს. ბოლოს და მე- XX ს. დასაწყისში სვინქსი აღარ წარმოადგენს საიდუმლოების სიმბოლოს, იგი თავად ხდება საიდუმლო, საიდუმლოს აბსოლუტური გამოხატულება“³⁷. საიდუმლოში ამ ეტაპზე არ მოიაზრება რაღაც კონკრეტული. ეს საიდუმლო სესამლოა თითოეული ადამიანისთვის განსხვავებული იყოს და თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს ითხოვდეს. მაგალითად, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი იყო აღმოეჩინა საბერძნეთის გაერთიანებისა და გაბრწყინების გზა. მოქალაქეებისთვის მთავარი იყო საკუთარი ადგილი ეპოვათ საზოგადოებაში და ა.შ. შესაბამისად, სვინქსიც და მისი სახე უფრო და უფრო კომპლექსური და არაორდინალური ხდება.

3.1 კავაფისის ლექსი „ოიდიპოსი“ და სვინქსის სახე

თანამედროვე ბერძენ მწერალთა შორის, პირველმა, კ.პ. კავაფისმა მიუძღვნა სვინქსს ლექსი. ³⁸ „კავაფისი არის კლასიციზმისა და მოდერნიზმის წარმომადგენელიც, რომელიც მსოფლიო ასპარეზზე ბრწყინავს. მომთხოვნი მკაცრი პოეტი, რომელსაც ახასიათებს მოდერნისტული ტენდენციები, გარდასახვა და მრავალფეროვნება“. მისი

³⁷ იხ. Δημήτρης Πολυχρονάκης, «Το σύμβολο της Σφίγγας, το σύμβολο του συμβόλου», επιστημονικό συμπόσιο «Μυστικισμός και τέχνη», εταιρία σπουδών νεοελληνικού πολιτισμού και γενικής παιδείας, Δεκέμβριος 2007, σελ. 70.- დ. პოლიხრონაკისი, „სვინქსის სიმბოლო, სიმბოლოს სიმბოლო“, სამეცნიერო კონფერენცია „მისტიციზმი და ხელოვნება“, ახალი ბერძნული კულტურისა და ზოგადი განათლების ინსტიტუტი, დეკემბერი 2007, გვ. 70.

³⁸ Δ. Δημηρούλης, «Κ.Π. Καβάφης κλασικός και μοντέρνος, ελληνικός και παγκόσμιος», (poema) εκδόσεις, Αθήνα 2013, σελ. 27.- დ. დიმიურულისი, „კ.პ. კავაფისი კლასიციზტიც და მოდერნისტიც, ბერძენიც და საერთაშორისო ხასიათის პოეტიც“, გამომცემლობა პოემა, ათენი 2013, გვ 27.

ლექსის სათაური არის ³⁹„ოიდიპოსი“ და დაიწერა 1895-96 წ., თუმცა პოემის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია სფინქსს და მასთან შეხვედრის ეპიზოდს.

კავაფისის შთაგონების წყაროს წარმოადგენს გუსტავ მოროს ნახატი, სადაც ასახულია სფინქსისა და ოიდიპოსის შეხვედრა⁴⁰. ნახატზე სფინქსი ოიდიპოსს ავიწროებს, თუმცა ოიდიპოსის სახეზე არ შეინიშნება შიში. კავაფისი ოიდიპოსისა და სფინქსის მითის თავისებურ ახსნას გვთავაზობს და მის ლექსშია განმარტებული, თუ რატომ არ შეინიშნება შიში ოიდიპოსის სახეზე საშინელ სფინქსთან შეხვედრისას.

ლექსის დასაწყისში აღწერილია, თუ როგორ ესხმის საშინელი სფინქსი ოიდიპოსს, როგორ აშინებს თავის ცხოველური გარეგნობით, თუმცა ოიდიპოსი ნელ ნელა გამოდის გაოგნების მდგომარეობიდან: «συνήλθε εκείνος γρήγορα — και διόλου/ τάρρα δεν την φοβάται πια, γιατί έχει /την λύσιον έτοιμη και θα νικήση.», „იგი მალე მოვიდა გონს-ახლა უკვე/ აღარ ეშინია საერთოდ, რადგან/ მას აქვს გამოცანის პასუხი და მოიგებს“. ოიდიპოსი საკუთარ თავში დარწმუნებულია, ხოლო სფინქსი კი განწირულია დამარცხებისთის, თუმცა პოეტი ამ ეტაპზე აკეთებს გადატრიალებს. ოიდიპოსის სახეზე შეინიშნება ნაღველი და მკითხველში იწვევს გაკვირვებას, რატომ შეიძლება გამარჯვებულის სახეს ნაღველი ამძიმებდეს? იგი აღარ უყურებს სფინქსს, შესცქერის თებესკენ მიმავალ გზას და იცის, რომ ეს მხოლოდ ერთ ერთია იმ სიძნელეებს შორის, რასაც ცხოვრებაში შეხვდება, „სფინქსი კიდევ ამეტყველდება/ უფრო დიდ და რთულ გამოცანებზე მოსთხოვს პასუხს, მაგრამ პასუხი არ ეცოდინება“, «η Σφίγξ εκεί θα τον μιλήση /πάλι με δυσκολώτερα και πιο μεγάλα/ αινίγματα που απάντησι δεν έχουν.» სფინქსი ხდება ყოველგვარი ცხოვრებისეული გამოცანისა და სირთულის სიმბოლო. კავაფისი სფინქსის ტრადიციულ საშინელ სახეს გამოიყენებს, რათა გადმოქცევს ცხოვრებაში არსებული სირთულეები, რომელიც თითოეულ ადამიანის გზაზე

³⁹ იხ. Κ. Π. Καβάφης, «Άπαντα τα ποιήματα», εισαγωγή και επιμέλεια Σόνια Ιλίνσκαγια, εκδόσεις Νάρκισσος 2003, Αθήνα, გვ. 263. -კ.პ. კავაფისი, „ლექსთა კრებული“, შესავალი და რედაქცია სონია ილინსკაია, გამომცემლობა ნარკისოს 2003, ათენი.

⁴⁰ იხ. დანართი, სურათი 3.

იქმნება. პოეტი ლექსის დასაწყისში იყენებს მითს ტრადიციულად და ასრულებს სრულიად მოულოდნელად. სფინქსი არ ნადგურდება და ვერც განადგურდება, იგი კვლავ გამოჩნდება ოდიპოსისა/ ადამიანის გზაზე, ფენიქსივით თავიდან იბადება საკუთარი ფერფლისგან.

ლექსის სივლით იმაში მდგომარეობს, რომ შეგვიძლია მივიღოთ, ერთი მხრივ, როგორც თითოეული ადამიანის ცხოვრებისეული გზის ალეგორია და მეორე მხრივ, მთლიანი ბერძენი ერის განვლილი და გასავლელი გზის ალეგორიადაც. საბერძნეთმა ბევრი სირთულე გამოიარა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა მუდამ აწყდება სულ ახალ გამოცანებს.

3.2 სეფერისის რომანი „ექვსი ღამე აკროპოლისზე“

სფინქსის სახე დომინირებს, ასევე, დეკადანსის წარმომადგენლების შემოქმედებაშიც (decadents). „მე-XIX ს. სიმბოლიზმის დეკადანსის წარმომადგენლებისთვის ძველი ბერძნული ზომიერება და ბალანსი გაიგივებული ხდება ურბანულ ცხოვრებასთან და მოწყენილობასთან, ამიტომ ისინი ძველი ბერძნული ჰარმონიის მაგივრად ირჩევენ ეგვიპტურ კულტურაში წარმოდგენილ დისბალანსს, რითაც განაცხადებენ, რომ ცივილიზაციები ადამიანებს ჰგავს, ანუ არასტაბილური ადამიანები ყოველთვის უფრო საინტერესონი არიან“⁴¹.

⁴¹ იხ. Δημήτρης Πολυχρονάκης, «Το σύμβολο της Σφίγγας, το σύμβολο του συμβόλου», επιστημονικό συμπόσιο «Μυστικισμός και τέχνη», εταιρία σπουδών νεοελληνικού πολιτισμού και γενικής παιδείας, Δεκέμβριος 2007, σ.π. σελ. 71.- დ. დიმიტრულისი, „კ.პ. კავაფისი კლასიციზტიკ და მოდერნისტიკ, ბერძენიკ და საერთაშორისო ხასიათის პოეტიკ“, გამომცემლობა პოემა, ათენი 2013, გვ. 71

ამ არასტაბილური ხასიათისა და დისბალანსის გამომხატველი იყო ოსკარ უაილდი, როგორც მეორე თავში განვიხილეთ. მისი მოთხრობის პერსონაჟი არადაბალანსებული, დაბნეული ქალის სახით გვევლინება, საიდუმლოს გარეშე, უფუნქციოდ დარჩენილი სფინქსის სახით. ამ ხაზს მიჰყვება გ. სეფერისიცი, თავის რომანში „ექვსი ღამე აკროპოლისზე“. რომანი გამოქვეყნდა 1974 წ., თუმცა მასში მოთხრობილი ამბები ვითარდება 1928 წ.⁴²

რომანში წარმოდგენილია ბერძენი ახალგაზრდების იდენტობის პრობლემა და მათი არაჰარმონიული შინაგანი სამყარო. ახალგაზრდების განცდები და მცდელობა თავიანთი ადგილი იპოვონ ამ სამყაროში. ისინი ბერძნები არიან და ცდილობენ თავიანთი ასაკის თანამემულეებთან დაამყარონ კავშირი, შესაბამისად, ექვსი ახლად გაცნობილი ახალგაზრდა, ამ კავშირის გასამყარებლად გადაწყეტენ ყოველ სავსე მთვარეს შეიკრიბონ აკროპოლისზე, ისაუბრონ მათ წინაპრებზე და ძველ ბერძნულ კულტურაზე, რათა დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

რომანში გამოიკვეთება ერთ ერთი პერსონაჟი ქალი, რომელსაც ახალგაზრდა მეგობრები სფინქსს ეძახიან, თუმცა ეს არ არის მისი ნამდვილი სახელი, მას სინამდვილეში მარილო ჰქვია, მაგრამ მთელი რომანის განმავლობაში ასე მიმართავენ და მოიხსენიებენ. ეს არის ძალიან ტრაგიკული ფიგურა, მუდამ რაღაცის ძიებაში, მუდამ ცდილობს ვითარება შეცვალოს, თუმცა საბოლოოდ ამას ვერ ახერხებს. მას სფინქსი შეარქვეს რადგან რომანის დასაწყისში იგი პოზიირობს, სფინქსის როლში ერთ ერთი მხატვარისთვის. მას სიამოვნებს, როდესაც სფინქსს უწოდებენ, რადგან გრძნობს, რომ აიგივებენ ამ დიდებულ და საიდუმლოებით მოცულ არსებასთან, „მარილო მოტრიალდა და სტრატისს დაემშვიდობა. -ღამემშვიდობის, ქალბატონო სფინქს, უთხრა მან. ეს ძალიან ესიამოვნა“ (გვ.12).

⁴²იხ. Γιώργος Σεφέρης, «Έξι νύχτες στην Ακρόπολη», Δ' ανατύπωση, εκδόσεις Ερμής, Αθήνα, 1987- გ. სეფერისი, „ექვსი ღამე აკროპოლისზე“, გამომცემლობა ჰერმესი, ათენი 1987.

მთელი რომანის განმავლობაში იგი ცდილობს მამაკაცების ყურადღება მიიპყროს, სფინქსის მსგავსად საინტერესო და იდუმალი გახდეს, თუმცა იგი არ არის არანაირი საიდუმლოების მფლობელი, ოსკარ უაილდის სფინქსის მსგავსად. ამ ორ პერსონაჟს შორის არის საკმაოდ დიდი მსგავსება. ორივე ცდილობს საიდუმლო და მომხიბვლელი იყოს, რათა მამაკაცთა ყურადღება მიიპყროს, თუმცა მამაკაცთა დამოკიდებულება მათ მიმართ საკმაოდ უარყოფითია. საბოლოოდ, კი ორივეს მართალი სახე მჟღავნდება და ორივე იღუპება, თუმცა სეფერისის შემთხვევაში სფინქსი არ განიცდის ფიზიკურ სიკვდილს, იგი მორალურად ნადგურდება მეგობრების წინაშე.

რომანის განმავლობაში იგი ცდილობს საკუთარი ადგილი და დანიშნულება იპოვოს. მას სურს გახდეს ახალი რელიგიური წრის წევრი და ამიტომ ცდილობს ყველანაირი ხერხით მოიპოვოს ამ დაჯგუფების ლიდერის კეთილი განწყობა, რათა ეზიაროს მათ საიდუმლოებას. იგი არის სფინქსი საიდუმლოს გარეშე, მაგრამ საიდუმლოს ძიების პროცესში. როგორც ტრადიციული სფინქსის გამოცანა, ისე რომანშიც ამ დაჯგუფების დანიშნულება, რწმენის საფუძველი და საიდუმლო, რომელსაც ფლობენ ბუდოვანი რჩება ბოლომდე და არც არასოდეს მჟღავნდება, რაც მიუთითებს მის, სავარაუდოდ, არ-რსებობაზე.

სფინქსი რომანის განმავლობაში ძალიან ხშირად არის წარმოდგენილი არაამქვეყნიური აღწერებით, რომელიც გვახსენებს ანტიკური სფინქსის ცხოველურ ბუნებას: „სფინქსის პირი გავდა წერტილს, რომელიც შთანთქავს ქვეყნიერებას“ (გვ. 26), „სფინქსი წამოხტა გააფთრებული, თითქოს მათრახი მოარტყეს და სისინით დაიწყო მეტყველება“ (გვ. 179). მწერალი ამგვარად აღწერს სფინქსს, როდესაც იგი ცდილობს საკუთარ მიზნებს მიაღწიოს, თუმცა როდესაც მას წინააღმდეგობები ხვდება მისი ნამდვილი სახე მჟღავნდება.

როდესაც იგი კარგავს საიდუმლოებისა და რელიგიური დაჯგუფების წევრობის ყველა იმედს, ნადგურდება. მეგობრების წინაშე იღებს მონაწილეობს ამორალურ ეროტიკულ ქმედებებში და საბოლოოდ რჩება მხოლოდ მისი ამაზრზენი სურათი. მას მეგობრები ზურგს შეაქცევენ (გვ. 237). იგი უბედური, დანიშნულებისა, მეგობრებისა და საიდუმლოების გარეშე რჩება. ძალიან ხშირად რომანის განმავლობაში იწვევს პერსონაჟების შეცოდებას, რადგან თვითგამანადგურებელი პერსონაჟია.

საიდუმლოების ძიებაში კარგავს თავმოყვარეობას, არასტაბილურად და ამორალურად იქცევა. მონსტრული და საცოდავი გარეგნობა მონაცვლეობს მთელი რომანის განმავლობაში.

ოსკარ უაილდის ზეგავლენა სეფერისის რომანზე ნათელია, ამ ორ პერსონაჟს ძალიან ბევრი მსგავსება ახასიათებს, თუმცა სეფერისის შემთხვევაში პერსონაჟის ხასიათი უფრო განვრცობილად და დეტალურად არის აღწერილი ჟანრიდან გამომდინარე (უაილდი- მოთხრობა, სეფერისი- რომანი). ორივე მწერალი იყენებს სფინქსის სიმბოლოს ირონიული დანიშნულებით.

3.3 ეგონოპულოსის ლექსი „ცხოვრებისეულ გზებზე“

„ცხოვრებაში არ არსებობს გამოცანა“, ნ. ეგონოპულოსი ამ ფრაზას თავისი ნახატის ქვეშ წერს, სადაც გამოსახულია ოიდიპოსის სფინქსის წინაშე.⁴³ ამ ფრაზით, როგორც უაილდი და სეფერისი, ისე ეგონოპულოსიც ანადგურებს იმ ყველაფერს, რასაც სფინქსი წარმოადგენს. ეგონოპულოსი არის სიურეალისტი პოეტი და მხატვარი, რომელიც, ასევე, ართმევს სფინქსს თავის გამოცანას თავის ლექსში „ცხოვრებისეულ გზებზე“⁴⁴, რომელიც გამოქვეყნდა 1978 წ.

⁴³ იხ. დანართი, სურათი 4.

⁴⁴ იხ. Νίκος Εγγονόπουλος, «Στην κοιλάδα με τους ροδόνες», εκδόσεις Ίκαρος, Αθήνα 1978.- ნიკოს ეგონოპულოს, „ვერდების მინდორი“, გამომცემლობა იკაროსი, ათენი 1978.

„ეგონოპულოსი (1907- 1985), არის საბერძნეთში, ამ პერიოდისთვის ერთადერთი სიურეალისტი მხატვარი და პოეტი, რომელიც თავისის შემოქმედების საფუძველად იყენებს ბერძნულ მითოლოგიას, თუმცა იგი არ ცდილობს „დაუბრუნდეს ძველ ფესვებს“, როგორც ხელოვანთა უმეტესობა. იგი ანტიკურობას არ უდგება, როგორც ტრფობისა და ნოსტალგიის საგანს, არამედ მას სცდილობს თვალი გაუსწოროს. იგი ახდენს მითების პროეცირებას თანამედროვე ეპოქაზე და ამჟღავნებს მათ მოულოდნელ, სიზმრისეულ და ეროტიკულ ასპექტებს. როგორც „ბერძენი“ და სიურეალისტი, იგი გვთავაზობს საკუთარ ორიგინალურ ხედვას»⁴⁵.

ეგონოპულოსის ლექსის სათაური არის „ცხოვრებისეულ გზებზე“, ბერძნულად იგი ასე ჟღერს «Στους δρόμους τους βιοτικών». პოეტი სათაურში იყენებს სიტყვებით თამაშს. «βιοτικό» ნიშნავს ცხოვრებისეულს, თუმცა ამ სიტყვის ჟღერადობა ასევე ემთხვევა ბეოტიურს, ანუ ბეოტიას, იმ რეგიონს სადაც თებე მდებარეობდა და სადაც ოიდიპოსმა სფინქსის გამოცანა ამოხსნა. ორთოგრაფიულად ორი სიტყვა განსხვავდება ერთმანეთისგან «βιοτικό»- ცხოვრებისეული, «βιοιτικό»- ბეოტიური, ეგონოპულოსი კი სათაურში პირველს იყენებს, ხოლო შემდგომ ლექსის დასაწყისში მეორე გვხვდება, «πρόσεξε: αυτός ο Οιδίπους/που πρόκειται να συναντήσουμε/στη διχάλα των βιοιωτικών δρόμων/ όχι: δεν είναι ο Οιδίπους της μυθολογίας», „ყურადღება: ოიდიპუსი/ რომელსაც შევხვდებით/ ბეოტიური გზების ჩიხში/ არა: არ არის მითოლოგიის ოიდიპოსი“. როგორც კავაფისი ისევე, ეგონოპულოსიც ოიდიპოსის გზას და მასთან დაკავშირებულ მითს ალევგორიულად იყენებს, რათა გადმოქცევს თითოეული ადამიანის ცხოვრებისეული გზის სირთულე.

სფინქსი ლექსის ბოლო ნაწილში გვხვდება: «μάθε το: είναι η Σφίγγα του παραμυθιού/ας έπεσε απ' το βάθρο/σαν είδε/πως «μυστικό»/δεν υπήρχε πια», „გაიგე: ზღაპრის სფინქსი/

⁴⁵ იხ. Νίκος Εγγονόπουλος, «Μυθολογία», εισαγωγή στα κείμενα Κατερίνα Περπινιώτη-Αγκαζίρ, μετάφραση David Connoly, Ύψιλον βιβλία, Αθήνα 2006, σελ. 12. - ნიკოს ეგონოპულოს, „მითოლოგია“, შესავალი კატერინა პერპინიოტი- აგაზირ, თარგმანი David Connoly, წიგნები უფსილონი, ათენი 2006, გვ 12.

თავისი ტახტიდან გადმოვარდნილა/ როგორც კი გაუგია/ რომ „საიდუმლოება“/ აღარ არსებობს“. იგი კარგავს თავის დანიშნულებას და ფუნქციას და როგორც მითოლოგიის სფინქსი თვითგანადგურდება ტახტიდან ჩამოვარდნით. ეს არის თანამედროვე ეპოქის ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოხატულება.

დასკვნა

„მითი და მისი კავშირი ლიტერატურასთან, არ წარმოადგენს მხოლოდ წარსულის კულტურული დონის მაჩვენებელს, არამედ ის ხდება ალეგორიული თუ სიმბოლოური გზა, რათა უკეთ გავიგოთ აწმყო. მითის ტექსტუალური ან ზოგადად ხელოვნური ვარიაციები, რომლებიც შესაძლოა ეკუთნოდეს სხვადასხვა ეთნიკურ ტრადიციას, ერთმანეთს უერთდება ამ მითის გამოყენებით“⁴⁶.

სფინქსიც და მასთან დაკავშირებული მითი ხდება სწორედ ეს სიმბოლოურ-ალეგორიული გზა, რომლის მეშვეობითაც ხდება თანამედროვე ეპოქის მწერლების

⁴⁶ იხ. Τρανουλίδου Ευτυχία, «Το παλίμψηστο του μύθου της Σαλώμης στον O. Wilde, τον N. Καζατζάκη, τον Γ. Σεφέρη και η επίδραση της εικαστικής απόδοσης του G. Moreau», διπλωματική εργασία, Εθνικό και Καποδιστριακό πανεπιστήμιο Αθηνών, Αθήνα 2014, σελ. 5.- „სალომეს მითის გარდაქმნა უაღდთან, კაზაძისთან, სეფერისთან და მისი ზეგავლენა გ. მოროს მხატვრულ შემოქმედებაზე“ სადოქტორო დისერტაცია, კაპოდისტრიას სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი, ათენი 2014, გვ. 5. ამგვარი გამოკვლევა, ასევე, მიგვითითებს ბერძნულისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მჭიდრო კავშირზე და ადასტურებს უაღდის შემოქმედების ზეგავლენას სეფერისის შემოქმედებაზე.

სულისკვეთების გამოხატულების საშუალება. თანამედროვე ინგლისურენოვან და ბერძნულენოვან ლიტერატურაში, მიუხედავად იმისა, რომ სფინქსი კვლავ ინარჩუნებს ანტიკურ ბერძნულ ტრადიციაში მინიჭებულ სიმბოლიკას, იგი გამოიყენება უფრო ბევრ კონტექსტში და ერგება თანამედროვე ეპოქისა და მწერლების მოთხოვნილებებს.

უაილდსა, სეფერისსა და ეგონოპულოსის სფინქსის სახეები ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირშია. სამივე შემთხვევაში სფინქსი მოკლებულია თავის ყველაზე მნიშვნელოვან ატრიბუტს, გამოცანას, და ეს იწვევს მათ თვითგანადგურებას. სამივე მწერალის შემოქმედებას ახასიათებს ირონია, ამ ცხოვრებისეული გზის სირთულეზე ჩაფიქრება, თანამედროვე ადამიანთა ქაოტური ფსიქიკა, საკუთარი თავის მოტყუების სურვილი და სიმართლის გაგებისთანავე დაღუპვა.

სფინქსის სახე თანამედროვე ეპოქაში პოპულარული ხდება, არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ ხელოვნების სხვა დარგებშიც. ამის გარდა, სფინქსის მაგვარი საკრალური არსებები ხშირად გვხვდება მსოფლიო სხვადასხვა რელიგიაში და კულტურაში, ფაქტი რომელიც ადასტურებს მის კომპლექსურობასა და მრავალასპექტიანობას. სფინქსის კომპლექსურობა, მრავალასპექტიანობა და მისი გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა კულტურაში, ხელოვნების დარგში და რელიგიაში, მომავალი კვლევისთვის ძალზე საინტერესო თემატიკას წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983.

არისტოფანე „ბაყაყები“

ევრიპიდე „ფინიკიელი ქალები“

ესქილე „შიდნი თებეს წინააღმდეგ“

ნოდარ გაფრინდაშვილი, მითოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1972.

რისმაგ გორდუზიანი, ბერძნული ლიტერატურა, გამ. „ლოგოსი“, თბილისი 2014

სენეკა „ოიდიპოსი“

სოფოკლე „ოიდიპოს მეფე“

ჰესიოდე „თეოგონია“

ჰესიოდე „სამუშაონი და დღენი“

Almut-Barbara Renger, Oedipus and the Sphinx, The Threshold myth from Sophocles through Fraud to Cocteau, University of Chicago Press, Chicago and London 2013

Andrew R. Morris, Oscar Wilde and the Eclipse of Darwinism, Aestheticism, Degeneration, and Moral Reaction in Late-Victorian Ideology Western University, Canada 2013, (article)

A Penn State electronic Classics Series Publication The works of Edgar Alan Poe in five volumes, volume 5, 2001 Pennsylvania University

Helen Mary Tirard (1890), The Great Sphinx: Ideas of the Sphinx in the Ancient World, *Archaeological Journal*, 47:1, 28-42

Iain Ross, *Oscar Wilde in Greece: Topography and the Hellenist Imagination*, Springer Science and Business Media B.V. 2009

J. E. Zimmerman, *Dictionary of Classical Mythology*, Bantam books

Joel Porte and Sandra Morris, *Prose and poetry*, a Norton Critical edition 2001

Kenna Hawes, Oscar Wilde's "The Sphinx" and Victorian Egyptomania, *English 60*, Brown University 2010, article.

Lévi-Strauss, Claude. Lectures "Myth and Meaning" (1977): 115-118.

L.S. Sussman, "Workers and Dornes; Labor, Idleness and Gender Definition in Hesiod's Beehive

Oscar Wilde, «Complete shorter fiction» (1854-1900), Oxford: Oxford university press, 1980

Oscar Wilde, *The Sphinx*, University of Adelaide, e-books, 2015

Pausanias *Description of Greece* 9. 26. 2.

Pausanias *Description of Greece* 5. 11. 2

Robert Beekes, *Etymological dictionary of Greek*, vol. 2, Leiden indo-european etymological dictionary series, Brill.

Ross, Charles Stanley. *Seven Against Thebes: the Thebaid*, Published January 10th 2007 by Johns Hopkins University Press, introduction.

Saundra Morris, The Threshold Poem, Emerson, and “The Sphinx”, *American Literature*, Vol. 69, No. (Sep. 1997), Duke University Press

Terence Rajivan Edward, University of Manchester, How did Oedipus solve the riddle of the Sphinx? (article)

Vellacott 1964: 137

W. Shakespear, *Love’s Labor’s lost*, Webster’s German Thesaurus edition, 2005.

Απολλόδωρος, βιβλίο 3 κεφ. 5

Γιώργος Σεφέρης, «Έξι νύχτες στην Ακρόπολη», Δ' ανατύπωση, εκδόσεις Ερμής, Αθήνα, 1987

Δ. Δημηρούλης, «Κ.Π. Καβάφης κλασικός και μοντέρνος, ελληνικός και παγκόσμιος», (poema) εκδόσεις, Αθήνα 2013

Δημήτρης Πολυχρονάκης, «Το σύμβολο της Σφίγγας, το σύμβολο του συμβόλου», επιστημονικό συμπόσιο «Μυστικισμός και τέχνη», εταιρία σπουδών νεοελληνικού πολιτισμού και γενικής παιδείας, Δεκέμβριος 2007,

Κ. Π. Καβάφης, «Άπαντα τα ποιήματα», εισαγωγή και επιμέλεια Σόνια Ιλίνσκαγια, εκδόσεις Νάρκισσος 2003, Αθήνα

Νίκος Εγγονόπουλος, «Στην κοιλάδα με τους ροδόνες», εκδόσεις Ίκαρος, Αθήνα 1978

Νίκος Εγγονόπουλος, «Μυθολογία», εισαγωγή στα κείμενα Κατερίνα Περπινιώτη-Αγκαζίρ, μετάφραση David Connoly, Υψιλον βιβλία, Αθήνα 2006,

Πλάτωνας, Κρατύλος 414 d

Παυσανίας, Περὶ Ἀττικῆς, κεφ. 24. 1

Τρανουλίδου Ευτυχία, «Το παλίμψηστο του μύθου της Σαλώμης στον O. Wilde, τον N. Καζατζάκη, τον Γ. Σεφέρη και η επίδραση της εικαστικής απόδοσης του G. Moreau», διπλωματική εργασία, Εθνικό και Καποδιστριακό πανεπιστήμιο Αθηνών, Αθήνα 2014

დანართი



სურათი 1: ოსკარ უაილდი ბერძნულ ტრადიციულ სამოსში



სურათი 2: Sphingidae moth or also known as Sphinx moth



სურათი 3: Gustave Moreau, Oedipus and the Sphinx



სურათი 4: სვინქსი და მოდობი, «Στη ζωή τίποτα δεν είναι αίνιγμα»